# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 28 ივნისი 2002 №118 (1640) | ფასი 50 თეთრი


nba draft 2002

# ცქიტიშვილი: დენვერის არჩევანი უარადანოა

26 ივნისი, ნიუ იორკი, პირთამდე გადაჭედილი 20-ათასიანი „მედისონ სკვერ გარდენი"... მეხუთე არჩევანის მქონე „დენვერ ნაგიტსის" ჯერიც დადგა. კლუბის გენერალური მენეჯერი კიკი ვანდევეიჯი მიკროფონთან მივიდა და გამოაცხადა — „ჩვენ ვირჩევთ... ნიკოლოზ სკიტისვილს..."

დრაფტზე გასული კალათბურთელები, ჩვეულებრივ, საკუთარი გვარის გაგონებამდე ღელავენ, 19 წლის ქართველ ჭაბუკს ნიკოლოზ ცქიტიშვილს კი პირიქით მოუვიდა. უსაზღვროდ აღტკინებულმა ალბათ ვერც გააცნობიერა, ქართული სპორტის ისტორიაში რაოდენ მნიშვნელოვანი და იშვიათი ფაქტი მოხდა.

მოხდენით კი ის მოხდა, რომ ქართველის ნიჭი დაინახეს და დააფასეს. ქართველს ენდნენ და მეხუთე ნომერი მასზე დახარჯეს, როდესაც მისი თამაში ხეირიანად არც აქვთ ნანახი... და იგი ამჯობინეს იმ სტუდენტური ლიგის კაშკაშა ვარსკვლავებს, სადაც იწრთობოდა, იწრთობა და გამოიწრთობა თითქმის ყველა ამერიკელი ვარსკვლავი და ლეგენდა.

ცქიტიშვილი ამჯობინეს არა მარტო სტუდენტ ამერიკელებს, არამედ უკვე ჩამოყალიბებულ ნბა-ს ვარსკვლავებს. „დენვერმა" გუნდიდან გაუშვა ბოლო რამდენიმე წლის ლიდერი, ოლიმპიური ჩემპიონი ანტონიო მაკდაიესი, რათა 19 წლის ქართველმა მომავალში მეტი თავისუფლება იგრძნოს და განვითარებაში ხელი არ შეეშალოს. „დენვერ ნაგიტსს" ცქიტიშვილის დიდი იმედი აქვს და მის გარშემო აპირებს აშენებას. ნიჭი, ეს ისაა, რასაც ამერიკელები უხვად ხედავენ „თინეიჯერ" ქართველში. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ სპეციალისტები, ისინი კი კალათბურთელის შეფასებისას იშვიათად ცდებიან.

ესეც მეორე ქართველმა შეაბიჯა მწვანე პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში. პირველი ვლადიმერ სტეფანია გახლავთ, რომელმაც ზუსტად ოთხი წლის წინ ქართულ კალათბურთს კარი შეუღო ნბა-დ წოდებულ საკალათბურთო სამოთხეში.



REUTERS ნიუ იორკიდან

„მედისონ სკვერ გარდენში" ნიკა ცქიტიშვილის სიხარულის პირველი გამზიარებელი დედამისი, ქალბატონი გულიკო იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაჭერი, სანამ დაგჭრიან!

***როცა მთელმა თურქეთმა აივნებზე დროშები გამოფინა, მხოლოდ ერთმა კაცმა აღმოაჩინა, რომ შინ დროშა არ ჰქონდა. უფრო სწორად, სახლი გადაქექა, მაგრამ ვერ იპოვა. ეს ამბავი თურქეთის პრემიერმინისტრ ბიულენთ ეჯევითის სახლში მოხდა. ოჯახის წევრებმა მეზობლის აივნიდან დროშა ჩამოხსნეს და თავიანთ აივანზე გადაიტანეს. საღამოს მეზობელი დაბრუნდა, ჩემი დროშა ჩემთანო, მოახსენა პრემიერმინისტრის ოჯახობას და კუთვნილი უკან დაიბრუნა.***



ფეხბურთელებმა ქალი აატირეს

**დროშობანას** და ფეხბურთის თამაშმა თურქეთს ბრაზილიასთან ხეირი ვერ მოუტანა. თურქულ გაზეთ „აქშამის“ (საღამო) ჟურნალისტმა თქვა, თორმეტი კაცითაც რომ გასულიყვნენ, ბრაზილიას მაინც ვერ მოუგებდნენო. მიზეზად კი შენოლ გიუნეშის ახირება დაასახელა. ახირებას ჰაქან შუქური ჰქვია. ჩემპიონატის ხუთ მატჩში გოლი არ გაუტანია, სენეგალთან საერთოდ აჭრილი იყო, ილჰან მანსიზი უნდა ეთამაშებინაო.

სენეგალთან გაცუდებული ასპროცენტიანი მომენტების შემდეგ „ბოსფორის ბულას“ მწვრთნელმა და მთელმა გუნდმა ისევ ნდობა გამოუცხადა. ბრაზილიასთან მატჩამდე ჰაქანისთვის გიუნეშს უთქვამს, შენი მჯერა, გოლი უნდა გაიტანოო.

თურქმა ჟურნალისტმა აღნიშნა, გუნდი მთელი 90 წუთი ჰაქან შუქურზე იყო აწყობილი, ეგებ, როგორმე გოლი გაეტანა, აქედან კი ის გამოვიდა, რაც ვნახეთო.

მოკლედ, გამოდის, თითქოს შუქურს ნაკრების ფეხბურთელები, მწვრთნელთან ერთად, მონუსხული ჰყავს.

გაზეთ „მილიეთის“ (ეროვნება) მიმომხილველი თუნჯაი ოზქანი ვარაუდობს, ნაკრებში მწვრთნელი არაფერს წყვეტს, მთავარი და ყველაფერის განმგებელი ჰაქან შუქური გახლავთო. თუნჯაი ოზქანის ვერსიით, „ბოსფორის ბულა“ ისლამური სექტის „თარიქათის“ წევრია. თურმე ის წყვეტს, ვინ უნდა ითამაშოს და ვინ სათადარიგოთა სკამზე იჯდეს. ჟურნალისტი ამტკიცებს, გუნდი მოედანს მიღმა ორად არის გაყოფილი — ერთნი შუქურის მხარდამჭერნი არიან და ყველანაირ რელიგიურ წესს ზედმიწევნით ასრულებენ, მეორენი კი სექტანტობასთან მწყრალად არიანო. ისიც ითქვა, თითქოს პირველნი ამრეზით უყურებენ დანარჩენებს და პასებსაც არ აწვდიან.

ფაქტი ერთია — ჰაქან შუქური ყოველთვის სასტარტო შემადგენლობაში იყო. ექვსი შეხვედრა ისე ჩაატარა, კარში, ალბათ, 2-3-ჯერ დაარტყა. მიუხედავად ამისა, შენოლ გიუნეში მას მხოლოდ მატჩის ბოლოსკენ ცვლიდა ილჰან მანსიზით, რომელმაც სენეგალთან „ოქროს გოლი“ გაიტანა.

რამდენად მართალია თუნჯაი ოზქანის ვარაუდი, ძნელი სათქმელია, თუმცა ისლამი თურქულ სპორტში ღრმად რომ შეიჭრა, არც სხვა ჟურნალისტები უარყოფენ.

გაზეთმა „საბაჰმა“ (დილა) მაგალითად „გალათასარაი“ მოიყვანა: „ფლორია — ადგილი, სადაც „გალას“ ბაზა მდებარეობს, კინაღამ ისლამისტურ ცენტრად იქცა — წერს გაზეთი — თურქი ფეხბურთელები, სპორტული რეჟიმის საზიანოდ, ყველა წესის დაცვით მარხულობენ. ასეა მთელ თურქულ სპორტში.“

ილჰან მანსიზმა თქვა, შენოლ გიუნეშს ჰკითხეთ, რატომ არ მათამაშებს ძირითადში, მე და ჰაქან შუქური თავიდანვე ერთად რომ ვყოფილიყავით, მეტი შანსი გვექნებოდაო.

შენოლ გიუნეში ამ საკითხზე ლაპარაკს ჯიუტად თავს არიდებს, ბრაზილიასთან ნამატჩევს კი ბრძანა: „მსოფლიოს ჩვენი ძალა ვუჩვენეთ. ამიერიდან ყველა სერიოზულ მეტოქედ მიგვიჩნევს. პირველი შეხვედრიდან თამაშ-თამაშ მოვუმატეთ. ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ. თუ რამეში შევცდი, მთელ თურქეთს პატიებას ვთხოვ. თურქეთის ნაკრები მსოფლიოს ოთხ საუკეთესოს შორისაა. ახლა მესამე ადგილისთვის ვიბრძოლებთ. ფინალში რომ გავსულიყავით, დარწმუნებული ვარ, ჩემპიონები გავხდებოდით.“

მუსტაფა დენიზლი, ნაკრების მწვრთნელყოფილი: „ფინალი ძალიან ახლოს იყო, გაშვებული გოლის შემდეგ გასათანაბრებლად ძალა აღარ გვეყო. რას ვიზამთ, ფეხბურთი ასეთია.“

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰალუქ ულუსოიც არ იყო განაწყენებული მარცხით: „აბა, დაფიქრდით, მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებს ტოლ-სწორად ვეთამაშეთ. მსოფლიომ გვნახა და გაგვიცნო. საფრანგეთი, არგენტინა, იტალია და ესპანეთი შინ ადრე გაემგზავრნენ, ჩვენ კი ნახევარფინალში ვითამაშეთ. ფეხბურთელებმა ქვეყანას ენით აუწერელი სიხარული მიანიჭეს. განა ეს პატარა ამბავია?“

ბრაზილიასთან მატჩს თურქი ფეხბურთელების მეუღლეები ტრიბუნიდან უყურებდნენ. მარცხის შემდეგ „ცოლთა ნაკრებმა“ მრავალხმიანად იტირა. მათ ჰალუკ ულუსოი ამშვიდებდა.

სტადიონზე გახლდათ იაპონიის პრინციც. იგი ნამატჩევს თურქთა გასახდელში ჩასულა და მიულოცია. განსაკუთრებით რუშთუ მოსწონებია, ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე ხარო, უთქვამს. უფლისწულს შეახსენეს, არ დაგავიწყდეთ, ოლივერ კანიც ძალიან ძლიერიაო, რაზეც პრინცმა მიუგო, რუშთუ მაინც სჯობსო.

ალფაი ოზალანმა თანამემამულეებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა: „კარგი, საინტერესო მატჩი გამოდგა. ყველა გულშემატკივარის მადლობელი ვარ. მოედანზე ბრაზილიის დასამარცხებლად გავედით, მაგრამ არ გამოვიდა. ღმერთმა ქნას, ასეთი შანსი კიდევ მოგვეცეს. ახლა მესამე ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ.“

ჰასან შაშმაც გამოთქვა აზრი: „ამიერიდან მსოფლიო სხვანაირად შემოგვხედავს. თავი კარგად წარმოვაჩინეთ და ამბიციაც გაგვიორმაგდა.“

ილჰან მანსიზმა მოკლედ დაამატა, მესამე ადგილისთვის მატჩში კორეას დავამარცხებთ, საამისო ძალა ნამდვილად გვაქვსო.

ბერლინში მცხოვრებ თურქებს თანამემამულეთა დამარცხების გამო დიდი ალიაქოთი არ აუტეხავთ. უზარმაზარ ეკრანთან შეკრებილმა გულშემატკივრებმა თითო-ოროლა ბოთლი და სკამი ესროლეს ეკრანს და ამით დაიშალნენ.

სხვა ამბავი იყო პარიზში. იქ თურქები და დედაქალაქური „პარი სენ ჟერმენის“ ბრაზილიელი ქომაგები ერთმანეთს დაერივნენ. მოგეხსენებათ, რონალდინიო სწორედ პსჟ-ში თამაშობს. ბრაზილიელებს თურქთათვის უთქვამთ, ერთი გოლი რაა, რონალდინიო რომ გვყოლოდა, შავ დღეს დაგაყრიდითო. ამის თქმა იყო და, ხელჩართული ჩხუბი დაიწყო. პოლიცია მომზადებული კი აღმოჩნდა, მაგრამ ისეთი რია-რია ატყდა, ცრემლსადენი გაზის გამოყენებაც კი დასჭირდა. მოკლედ, მოჩხუბარნი ძლივს დააწყნარეს და გაუშვეს.

ესენი გაუშვეს, მაგრამ გამშველებელი სჭირდებოდათ თურქულ ქალაქ ბურსაშიც. ბურსას მაცხოვრებელი, ვინმე მეჰმეთ ავჯი დარწმუნებული იყო, რომ თურქეთი ბრაზილიას იოლად გაუსწორდებოდა. ამ იმედით მიუჯდა ტელევიზორს, მაგრამ ნანახმა, გააცოფა. სამზარეულოში შევარდა, ცოლს ტორტის დასაჭრელად მომარჯვებული დანა ხელიდან გამოსტაცა და საყვარელი მეუღლე ბარძაყში დაჭრა. ცხადია, მერე გონს მოვიდა და ქალი საავადმყოფოში გააქანა.

მეჰმეთ ავჯის ნაკრების ფეხბურთელთა დანაპირები თუ დააწყნარებს, რომლებმაც ერთხმად განაცხადეს, 2004 წელს ევროპის ჩემპიონები გავხდებითო.

ამასობაში თურქ ფეხბურთელებს უამრავი მსურველი გამოუჩნდა. თუგაი ქერიმოღლუს „ბრემადან“ შეეხმიანენ, ხოლო ჰასან შაშს არსენ ვენგერმა დაადგა თვალი. ალბათ, გახსოვთ, ფათიჰ თერიმმა შაში თორმეტ მილიონ დოლარად რომ შეაფასა. ამბობენ, ვენგერმა ეს რომ გაიგო, ჯანდაბას, თხუთმეტი იყოსო. თან ათს ახლავე ჩამოვდივარ, ხუთსაც წლის ბოლოს დაგაწევთო.

**გაგა ხუციშვილი**


ბარიზელი თურქი დიდ ეკრანთან მარტო დარჩა



რა ფინალი მოგინდათ . . .


თურქეთის ერჩივნა, ჰაქან შუქური მთელი ჩემპიონატი ასე მჯდარიყო



# ბრაზილია, ამ გულს თუ ვერ გაუგე... ჩვენ ვართ რონალდო!

**ისტორია** განმეორდა. ბრაზილია მეორე ნაკრები გახდა, ზედიზედ სამჯერ რომ გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში. პირველად ეს მისმა საკვირაო მეტოქე გერმანიამ მოახერხა. ევროპელების 80-იანი წლების სამგზის მცდელობამ ბოლოს გამოიღო შედეგი. 1982 და 1986 წლებში წაგებულ ფინალებს გერმანელებმა იტალიის მუნდიალზე ჩემპიონობა მიაყოლეს და ბრაზილიელთა დრო დადგა. 1994 წელს ამერიკაში ტეტრაკამპეონებმა წარმატებით იბურთავეს, ახლანდელივით ფინალის თანაჯგუფელი მეტოქე — შვედეთი ჩამოიშორეს გზიდან და გადამწყვეტ მატჩში უფრო ზუსტად შეასრულეს პენალტები იტალიელებს.

ფინალში იყო ბრაზილია ოთხი წლის შემდეგაც, თუმცა მეორეობას დასჯერდა — მასპინძელმა საფრანგეთმა შანსი არ დაუტოვა სამხრეთამერიკელებს.

და კორეა — იაპონია... ბრაზილია თუ კვირას მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, გარკვეულწილად დიდი პარადოქსიც იქნება. აქამდე არასდროს არავის რომ არ უვლია, ისეთი გზა გაკვალეს ფინალამდე „ბურთის ჯადოქრებმა“. საქმე ის გახლავთ, რომ სამსოფლიო შესარჩევ ეტაპზე ექვსი მატჩის წამგები გუნდი უდიდეს საფეხბურთო ფორუმზე არასდროს მოხვედრილა. ბრაზილია სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში სწორედ ამდენჯერ დამარცხდა. მეტ-ნაკლებად საპატიო წაგებას ურუგვაისთან, არგენტინასთან და პარაგვაისთან რომ თავი დავანებოთ, ყვითლები ისეთებს დაეჩაგვრინნენ, ბოლივია, ჩილე და ეკვადორი რომ არიან. მაგრამ ახლა ამას არავინ უხსენებს ფელიპე სკოლარის გუნდს. ბრაზილია ფინალშია და ამან ბევრი რამ ჩამოწერა.

მგონი, ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა ხდებოდა ბრაზილიაში თურქეთთან მოგებული ნახევარფინალური მატჩის შემდეგ. ოთხშაბათს სამუშაო დღე მატჩის დროს აარიდეს და დღის მეორე ნახევარში გადაიტანეს, თუმც ვის ემუშავებოდა? ათიათასობით ადამიანი ქუჩებში გამოეფინა PENTA-ს ძახილით, რაც პორტუგალიურად ხუთს ნიშნავს — სამხრეთელები ერის სიამაყის მეხუთედ გაჩემპიონებას ითხოვენ.

სამბას რიტმით შეზავებული ბრაზილია მოთუხთუხე ქვაბს ჰგავს, რომელიც ამოსახეთქადაა გამზადებული და იქაურებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ტრიუმფატორი სწორედ მათი ნაკრები გახდება. რიგითი მუშიდან დაწყებული, ქვეყნის პირველი პირით დამთავრებული, ყველა დიდი ზეიმის მოლოდინშია.

ჩემმა ნაავადმყოფარმა გულმა თურქეთთან მატჩში უდიდეს გამოცდას გაუძლო — ამბობს სანპაულოელი ავტოსადგომის თანამშრომელი — გადავრჩი და ბედნიერი ვარ, სიცოცხლე მხოლოდ ჩემპიონი ბრაზილიის სანახავად მინდა და იმედი მაქვს, ჯანი იქამდე გამყვება.

ქვეყნის პრეზიდენტი ფერნანდო ენრიკე კარდოზო, რომელსაც ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნები ელის, იმედოვნებს, რომ ბრაზილიის გამარჯვება მისი გამარჯვების საწინდარი გახდება. როცა ამდენი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს, ჩვენი გამჩერებელი არავინაა, — ამბობს კარდოზო, რომელმაც ერი დაასაჩუქრა — ორშაბათი უქმედ გამოაცხადა: ბრაზილია ზეიმისთვის ემზადება.

იმედიანად არიან სხვადასხვა დროს ტეტრაკამპეონთა გამჩემპიონებლები მარიო ზაგალო და კარლოს ალბერტო პერეირა. დარჩენილი ერთი ნაბიჯის გადადგმა ბრაზილიას არ უნდა გაუჭირდესო — თქვა ზაგალომ, პერეირამ კი თანამემამულეებს გერმანელთა დამარცხების ერთგვარი რეცეპტი გამოუწერა: გერმანიას მიმდინარე ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი გოლი აქვს გაშვებული, ამიტომ მათ წახდენას დახვეწილი ინდივიდუალიზმი სჭირდება — ასეთია პერეირას რჩევა.



ბრაზილიის სამბამ გადაუარა

ბრაზილიის უპოპულარესი ადამიანი დღესდღეობით რონალდოა. ქვეყანაში ერთგვარი რონალდომანიაც დაიწყო. დალაქები საქმეს ვერ აუდიან, დიდი რიგებია საპარიკმახეროებთან, ყველას „კიჭასავით“ სამკუთხა ვარცხნილობის გაკეთება სურს. გმირის ცხრანომრიანი მაისურები კი, მგონი, პურზე მეტად იყიდება ბრაზილიაში.

თურქეთთან გატანილი ბრწყინვალე გოლით რონალდომ ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირა, ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნული ლიდერი გახდა, თანაც ბატისტუტას, რანს, კუბილასს, ლატოსა და ლინეკერს წამოეწია. მსოფლიოს ჩემპიონატებზე რონალდოსაც მათსავით 10 გოლი აქვს გატანილი. სხვათა შორის „კიჭა“ პელეს შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში მეორე ბრაზილიელი მეგოლეც გახდა. ფეხბურთის მეფეს 12 გოლი აქვს გატანილი და გუშინწინდელ მატჩამდე გოლების რაოდენობით მას შემდეგ ქაირზინიო, ლეონიდასი და ვავა მიდიოდნენ 9-9 გოლით.

რონალდო მართლაც ფენომენალური ფეხბურთელია. ბევრი ვერ მოახერხებდა ორწელიწადნახევრიან, მტანჯველი ტრავმისგან მოშლილი ფსიქოლოგიის აღდგენას. „კიჭამ“ ორი ურთულესი ოპერაციის გარდა პროფესიულ შიმშილსაც უდრტვინველად გაუძლო და დაბრუნდა, დაბრუნდა, რათა ისევ გმირი გამხდარიყო. გმირობამდე კი მართლაც ერთი ნაბიჯია დარჩენილი.

„ეს ჩემპიონატი ჩემი ტკივილნარევი უმოქმედობის დავიწყების საუკეთესო საშუალებაა. ბედნიერი ვარ, ისევ ფეხბურთით ვცხოვრობ. ბედნიერი ვარ, რომ თავი დავაღწიე იმ შიშს, როცა მეგონა, ვერასდროს ვითამაშებდი დიდ ფეხბურთს, მაგრამ სრულ ბედნიერებას ერთი მატჩის მოგება სჭირდება. ბრაზილია ჩემპიონი უნდა გახდეს და ჩვენ ეს უნდა შევძლოთ“ — ამბობს რონალდო.

**ბაატა ძგანტალიანი**



პრეზიდენტი ფერნანდო ენრიკე კარდოზო ნაკრების წარმატებას საარჩევნოდ იყენებს

## ბრაზილია ფინალებში



1950. ბრაზილია — ურუგვაი 1:2



1958. შვედეთი — ბრაზილია 2:5



1962. ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია 3:1




1970. ბრაზილია — იტალია 4:1



1994. ბრაზილია — იტალია 0:0 (3:2 პენ.)



1998. საფრანგეთი — ბრაზილია 3:0

# ყველაფერი სასტუმროდან იწყება



ალენ ჟირესი

**თანამედროვეობის** ერთ-ერთმა უდიდესმა ფეხბურთელმა, ზინედინ ზიდანმა განაცხადა, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი როჟე ლემერი მსოფლიოს ექს-ჩემპიონთა მარცხში დამნაშავე არ არისო.

„მართალია, დასკვნების გამოტანა ჯერ კიდევ ადრეა, მაგრამ მეორე მხრივ, მინდა ვთქვა, რომ მწვრთნელის დადანაშაულება სწორი არ არის. საერთოდაც, ერთი ადამიანის გამოცალკევება არ შეიძლება."

დარჩება თუ არა „ლურჯთა" სათავეში ლემერი, ამას საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია მომდევნო კვირაში გადაწყვეტს, ზიდანი კი გვარიანი დუმილის შემდეგ ფრანგთათვის უიღბლო ჩემპიონატის შეფასებას განაგრძობს:




ზინედინ ზიდანმა ექიმ ფერეს ერთი თვის წინანდელი ნათქვამი გაიმეორა

„მოედანზე ჩვენ, ფეხბურთელები ვიყავით და ეტყობა, იმას ვერ ვაკეთებდით, რაც უნდა გვეკეთებინა. თუმცა, ერთი რამ ფაქტია: მონდომება არ დაგვიკლია. ვერავის წამოსცდება, რომ კორეაში დასასვენებლად წავედით ან იმდენად გავთამამდით, რომ გვეგონა, ტიტულს იოლად შევინარჩუნებდით. სხვა საქმეა, რომ მწვრთნელს კი არა, პასუხისმგებლობა მთლიანად ჩვენ გვეკისრება."

აღსანიშნავია, რომ 23 ივნისს საფრანგეთის ნაკრების გამთამაშებელს 30 წელი შეუსრულდა.

„გასამართლებელ მიზეზს არ ვეძებ, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატს გადაღლილები შევხვდით."

ამრიგად, ფრანგთა წარუმატებლობის ერთი მიზეზი უკვე დასახელებულია — გადაღლა. სხვა მიზეზებს კი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ფრთხილად და დაკვირვებით სწავლობს, რათა 5 ივლისს საჯაროდ იმსჯელოს და, სავარაუდოდ, ნაკრებს მწვრთნელიც გამოუცვალოს.

თუ გავლენიან გაზეთ „ლე პარიზიენს" ვენდობით, კორეაში ჩასული „ლურჯთა" ნაკრები საბრძოლველად შემართული გუნდისთვის მეტისმეტად ფეშენებელურ სასტუმროში იყო დაბანაკებული. ამაზე, ფეხბურთის ფედერაციამ, ამ დღეებში გამოქვეყნებული განცხადებით გასცა პასუხი:

„ეს უსაფუძვლო და ბუნდოვანი ბრალდება ჩვენს მშვიდ და საფუძვლიან მუშაობას დაღს ვერ დაასვამს."

ამასობაში კი ლემერის ერთ-ერთი სავარაუდო შემცვლელის ვინაობა გამოიკვეთა. ეს არის პლატინის დროინდელი დიდი გუნდის ვარსკვლავი ალენ ჟირესი, რომელმაც სპორტულ გაზეთ „ეკიპს" კითხვაზე, უნდა თუ არა „ლურჯთა" გაძღოლა, „დიახ" უპასუხა.

ჟირესი 50 წლისაა და დღეს მაროკოში „რაბათის" მწვრთნელად მუშაობს. მანამდე იგი „ტულუზსა" და „პარი სენ ჟერმენს" ედგა სათავეში.

ასახელებენ კიდევ ერთ ადამიანს — „ლიონის" მწვრთნელ ჟაკ სანტინის.

**ბაჩუნა ძიძიგ**

# მოგება და წაგება ძმები არიან?

**მსოფლიოს** ყოველი ჩემპიონატისასნაირგვარ რეკორდებზე ლაპარაკობენ, წლეულს კი იმდენი პროგნოზი არ გამართლდა, რომ სიტყვა „რეკორდის" ხმარება ყველაზე უპრიანი საბუქმეიკერო კანტორებთან მიმართებაში იქნება. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ საფრანგეთი და არგენტინა ჯგუფიდან ვერ გავიდოდნენ, ან იტალიელები კორეასთან წააგებდნენ და მერე ყველაფერს მსაჯებსა და ფიფას დააბრალებდნენ?



ფრანჩესკო ტოტიც თამაშობს, ოღონდ ბანქოს

ფეხბურთი იმიტომაც არის საინტერესო, რომ მოულოდნელობებითაა სავსე. აი, ტოტალიზატორებმა კი ამით დიდად იხეირეს. ბრიტანული საბუქმეიკერო კანტორა „ლედბროუქის" წარმომადგენლები აცხადებენ, წლევანდელი მუნდიალის წყალობით არნახული შემოსავალი მივიღეთო: „ბრიტანული საბუქმეიკერო ბაზრის ბრუნვამ ჩემპიონატის დღეებში დაახლოებით 200 მილიონი გირვანქა შეადგინა — ამბობს „ლედბროუქის" საზოგადოებასთან ურთიერთობის თავმჯდომარე დეივ გრინვუდი — ეს ციფრი ჩელტენჰემის დოღიდან მიღებულ შემოსავალს უტოლდება." ხსენებული დოღი კი ყველაზე პოპულარულია ბრიტანეთში და სამ დღეში ერთხელ იმართება.

საბუქმეიკერო ბიზნესის აყვავებას ინტერნეტიც უწყობს ხელს, „ლედბროუქსა" და „უილიამ ჰილში" ფსონების დადება ხომ მათსავე ვებ-გვერდებზე შეიძლება. მთლიანი შემოსავალი, ცხადია, ტურნირის დამთავრების შემდეგ გაცხადდება, თუმცა სარეკორდო მოგების ამბავი უკვე ცნობილია.

ვინც ბრაზილიის, თურქეთის, გერმანიისა და კორეის ნახევარფინალში გასვლაზე დადებდა, ერთ გირვანქაში ათასს მოიგებდა, ასეთ ვარიანტს „უილიამ ჰილი" 31 მაისს სთავაზობდა მოთამაშეებს, მაგრამ ჩანს, ვერავის გაურისკავს. აბა, მაშინ ამას ვინ წარმოიდგენდა.

ზოგიერთი წყაროს თანახმად კი წლევანდელი მუნდიალი „უილიამ ჰილის" 66-წლიან ისტორიაში ყველაზე წარმატებული სპორტული შეჯიბრება გახდა. რატომაც არა...

**სოლომონ ბუღიაშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

კლაუს ტოპმიოლერმა „ლევერკუზენში" ბურდესნაკრები გამოზარდა

# ინგლისელებს შკვირთ და აკვირდებიან

*ინგლისური საინტერნეტო ვებ-გვერდის, 365-ის მტკიცებით, გერმანიას ისეთი სუსტი ნაკრები, როგორიც დღეს ჰყავს, არასდროს ჰყოლია. გვახსენებენ, რომ ეს სწორედ ის გუნდია, რომელსაც ინგლისმა შარშან სექტემბერში, მიუნხენში 5:1 მოუგო. ინგლისელები ცდილობენ გააანალიზონ, როგორ გაალწიეს რუდი ფიოლერმა და მისმა შეგირდებმა ფინალში. აქვე ვთქვათ, რომ ამ წერილის პირველ პუნქტში მისი ავტორები გერმანელებს მიმართავენ.*

**1. ძლიერი მეტოქე არ შეგხვედრიათ**

ბედი თქვენს მხარესაა და თავადაც კარგად იცით, რომ ყველაზე ძლიერი, ვინც შეგხვდათ, ირლანდია იყო. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ძლიერი გუნდის დამარცხების გარეშე გახვიდე? იღბალიც ამას ჰქვია.

**2. ოლივერ კანი**

ფრანც ბეკენბაუერი მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ არა ოლივერ კანი გერმანია დიდი ხანია, შინ იქნებოდაო. სწორედ კანმა იხსნა ისინი ირლანდიასთან, კამერუნთან და აშშ-სთან შეხვედრებში. ამ ბოლო შეხვედრის ყველაზე დიდი მოვლენა სწორედ კანის მიერ დონოვანის დარტყმების მოგერიება იყო.

**3. განსხვავებული გუნდი**

როგორ შეიძლება ის გუნდი, ინგლისთან 1:5 რომ წააგო, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მოხვედრილიყო? საქმეც ის არის, რომ იმ თერთმეტი კაციდან დღეს შემადგენლობაში მხოლოდ ხუთს ვხედავთ — ყოველ შემთხვევაში, კორეასთან ასე იყო. აქ საქმე ტრავმათა და ფეხბურთელთა გადახარისხების კომბინაციასთან გვაქვს. მართალია, გერმანიის ნაკრებს ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტად არავინ აღიქვამდა, მაგრამ ამ ფეხბურთელებმა თავისი სამუშაო მშვიდად შეასრულეს.

ისე კი, კვირას რაც უნდა მოხდეს, რუდი ფიოლერი ევრო 2004-ის შესარჩევ ეტაპზე შემადგენლობაში ველარაფერს შეცვლის.

**4. ლევერკუზენი**

წინა ევროპული სეზონის უდიდესი აღმოჩენა პატარა ქალაქ ლევერკუზენის გუნდი გახლდათ. მან „ლივერპული" და „მანჩესტერ იუნაიტედი" დაამარცხა, სანამ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მადრიდის „რეალთან" წააგებდა. ჩინებული ალღო ჰქონია რუდი ფიოლერს, რომელმაც მუნდიალზე ამ გუნდის ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელები წაიყვანა. დღეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ ყველაზე კარგად ბალაკი, რამელო, შნაიდერი და ნოივილი თამაშობენ. აი, პრობლემა კი ფინალში დისკვალიფიცირებული ბალაკის არყოფნა იქნება.

**5. მთელი ძალით**

როდესაც იცი, რომ გუნდში ნიჭიერი ინდივიდუალისტები არ გყავს, იძულებული ხარ, აქცენტი ლონესა და თავდადებაზე გააკეთო. ფლანგებზე სწრაფად სირბილი, მეტოქის საჯარიმოში მაღალი ბურთების ჩაკიდება და განვითარებული მუსკულატურა მთელ მოედანზე, წინ და უკან. გერმანია სწორედ ამ გზას ადგას.




ოლივერ კანს ინგლისელები მიუნხენურ ხუთ გოლს ხშირად ახსენებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოწევა სასარგებლოა ქომაგებისთვის

## კორეელებს ცივი ლუდი გაუტკბათ

**კორპორაცია** „კორეა ტობაკო ენდ ჯინსენის" ცნობით, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში კორეის მოსახლეობა არნახულად მიეძალა სიგარეტს, ლუდსა და უფრო მაგარ ალკოჰოლურ სასმელებს. ბოლო ოთხ კვირაში 48 მილიონიან ქვეყანაში 296 მილიონი კოლოფი სიგარეტი გაიყიდა, რაც მაისის მაჩვენებელზე 15 პროცენტით მეტია.

თამბაქოსა და ლუდზე ასეთ მოთხოვნილებას გულშემატკივართა განცდებით ხსნიან. ჭიქა არაყი და სიგარეტი ნერვიულობის ერთ-ერთი წამალია, ლუდზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ლუდის მოხმარება 70 პროცენტით გაიზარდა. თუ ადრე დღე-ღამეში საშუალოდ 25 ათასი ოცლიტრიანი კასრი იყიდებოდა, ახლა ამ ციფრმა 43 ათასამდე მოიმატა. ყველაზე მეტი ლუდი კი (76 ათასი კასრი) 14 ივნისს კორეა — პორტუგალიის მატჩის დღეს დაულევიათ, საქმე იქამდეც მისულა, რომ მიმწოდებლებს ყველა შეკვეთის დაკმაყოფილება ვერ მოუხერხებიათ.

# მადა თამაშში მოდის

**მსოფლიოს ჩემპიონატზე** კორეის ნაკრების ჩინებული გამოსვლით მოხიბლულმა აზიის ფეხბურთის კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა პიტერ ველაპლანმა ფიფას მიმართა, მომავალი მუნდიალისთვის აზიელთა წარმომადგენლობა ოთხიდან ხუთ გუნდამდე გავზარდოთო: „მართალია, წლეულს საუდეთმა და ჩინეთმა უხეიროდ ითამაშეს, მაგრამ აზიას ერთი ადგილი მაინც უნდა დაემატოს. ამის თქმის საბაბს აზიური ქვეყნების მოსახლეობის სიმრავლე, ტელემაყურებელთა დიდი რაოდენობა და კონტინენტზე ფეხბურთის საოცარი პოპულარობა მაძლევს" — დაასკვნა ველაპლანმა.

ხუთი აზიური ნაკრები წლევანდელ მუნდიალზეც შეიძლებოდა გვეხილა, მაგრამ ირანმა პლეი ოფში ირლანდიასთან წააგო. ისე საინტერესოა, რომელი კონტინენტის ხარჯზე აპირებენ აზიელები თავისი წარმომადგენლობის გაზრდას?



# ისე წავიდა, ვერ შევიდა

## კანიჯას სასჯელი არ გაუჯანჯლეს

**არგენტინის** ნაკრების თავდამსხმელი კლაუდიო კანიჯა ფიფამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა და თანაც „მსაჯის უპატივცემულობისთვის" ათასი დოლარით დააჯარიმა. ისე, ცოტა უცნაური ისტორია კი გამოვიდა, წითელი ბარათი კანიჯამ შვედებთან მატჩისას სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა მიიღო და ჩემპიონატზე გაძევებულთა რიცხვს ისე შეემატა, მოედანზე ერთი წუთითაც არ გასულა.

ახლა კანიჯას კოპა ამერიკას პირველი ორი მატჩის გამოტოვება მოუწევს, თუ, რა თქმა უნდა, ნაკრებში ისევ მიიწვიეს.



ფინალის ბილეთი გერმანელისთვის საუკეთესო საჩუქარია


# პეპონენი

კომპანია „ბიოგალი" ულოცავს 2002 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ლიდერებს და გისურვებთ მუდამ ფორმაში ყოფნას!



## გოგრის თესლების ზეთი

- ანელებს წინამდებარე ჯირკვლის–პროსტატის ზრდას
- უკუაგდებს შარდვისას პროსტატიტთან დაკავშირებულ ტკივილის შეგრძნებას
- დაგეხმარებათ აიცილოთ პროსტატის ადენომის მიზეზით ქირურგიული ჩარევა
- ანელებს ათეროსკლეროზის პროცესებს
- აუმჯობესებს მამაკაცის სპერმის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შემადგენლობას, რაც ხელს უწყობს მამაკაცის ნაყოფიერების ზრდას
- მონო- და პოლიუჯერის –„კარგი ცხიმების" – საშუალებით ათავისუფლებს ორგანიზმს ჭარბი ქოლესტერინისაგან
- შეიცავს დიდი რაოდენობით რკინასა და თუთიას – ზრდის ორგანიზმის იმუნიტეტს

**ვიზრუნოთ მამაკაცის მეორე გულზე!**

ნატურალურ ფუძეზე დამზადებული პრეპარატი გვერდითი მოვლენების გარეშე

წინამდებარე ჯირკვლის ადენომის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის! სრული კურსი 5-6 თვე



სერტიფიცირებულია

PSP ჰ3ჰ

იკითხეთ ქალაქის აფთიაქებში!

ფარმაცევტული ქარხანა „ბიოგალი" უნგრეთი

BIOGAL TEVA


# გერმანიამ გამოყოფილი ვერ იმყოფინა

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირში უიმედოდ იყვნენ, არ ეგონათ, მათი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თუ გააღწევდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ფინალური მატჩისთვის მათთვის წინასწარ გამოყოფილი 5 800 ბილეთიდან მხოლოდ ათასი შეიძინეს.

გერმანელმა ფეხბურთელებმა კი მოგეხსენებათ, კავშირს და გულშემატკივრებს სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზეს. გენერალური მდივანი ჰორსტ შმიდტი ფინალში გაღწევის დღიდან ბილეთებზე დაფაცურებულა.

ფრანკფურტში მდებარე კავშირის შტაბ-ბინას კორეიდან 250 ქომაგი დაუკავშირდა. ისინი ბილეთებს ითხოვენ. ხოლო გერმანიიდან 1 800-მა გულშემატკივარმა გამოთქვა შორეულ აღმოსავლეთში გამგზავრების სურვილი. „ჩვენ შეუძლებელი უნდა შევძლოთ და ადრე გამოყოფილი 5 800 ადგილი, რომელიც იოკოჰამას სტადიონის 8 პროცენტს შეადგენს, უნდა შევავსოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს ნაკრებს მხოლოდ ათასი კაცი გაამხნევებს" — ამბობს ჰორსტ შმიდტი.

**ზურაბ რუხაძევილი**

# ყველაფერში დამნაშავე ვესტია

**ნიგერიის** ნაკრების მწვრთნელმა ადეგბოიე ონიგბინდემ გუდას პირი მოხსნა და მუნდიალზე წარუმატებლობა კიკინებიან მცველ ტარიბო ვესტს დააბრალა: „ვესტი საშინლად იქცეოდა. ჩემს მითითება-დავალებებს არ ასრულებდა და სხვებსაც იმავეს მოუწოდებდა. ფეხბურთელებს აიძულებდა გაეკეთებინათ ის, რაც თავად სურდა და ამით ჩემს ავტორიტეტსაც აკნინებდა. ჩემპიონატიდან გავარდნის მერე კი ენას კბილი ვერ დააჭირა და ყველაფერი ნაკლებად ცნობილ პარტნიორებს გადააბრალა. არადა, სწორედ მათ მოახერხეს ინგლისთან ფრედ ეთამაშათ, ვესტმა კი ორი თამაში წააგო" — ასეთია გულმოსული ონიგბინდეს აღსარება.

ონიგბინდე კორეა-იაპონიაში წარუმატებელი გამოსვლიდან რამდენიმე დღეში გადადგა, თუმცა ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ კვლავ დაბრუნება სთხოვა და მალე, ალბათ, ფედერაციასთან ახალ, ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.



ადეგბოიე ონიგბინდემ ტარიბო ვესტის ცრემლი ვერ დაინახა

# ჩემი ოქრო ჩემთან



გუშინ ფიფას ტექნიკური კვლევის ჯგუფმა ის ათი ფეხბურთელი დაასახელა, რომელთაგან მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე შეირჩევა და „ადიდასის ოქროს ბურთით" დაჯილდოვდება. ნომინანტთა შორის საუკეთესოს მუნდიალზე აკრედიტირებულ ჟურნალისტთა გამოკითხვა გამოავლენს. ასევე გადასცემენ ვერცხლის და ბრინჯაოს ბურთებს.

თავად პრიზი ახლახან დაამზადეს და მასზე ამოტვიფრულია „ოქროს ბურთის" ოდინდელ მფლობელთა სახელები. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ „ოქროს ბურთზე" ერთი ახალი სახელი ამოიტვიფრება.

მსოფლიოს ჩემპიონატებს შორის შუალედებში ჯილდო ციურიხში ფიფას მთავარ ოფისში დაიდებს ბინას.

წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინანტები კი არიან:



რონალდო



რობერტო კარლოსი



მიხაელ ბალაკი



ფერნანდო იერო



ელ-ჰაჯი დიუფი



რივალდო



რონალდინიო



ოლივერ კანი



მიუნგ-ბო ჰონგი



ჰასან შაში

## იუბილარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ფაბიენ ბართეზი
(საფრანგეთი). 28.06.71

ქაჩალმა ფაბიენმა კორეა-იაპონიაში თავი კი მოიქაჩლა, მაგრამ ამაოდ.

ეს კაცი ფრანგთა ოთხწლიანი ბატონობის ეპოქაში საფრანგეთის ნაკრების კარში მთასავით რომ უდრეკად იდგა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის ტიტულები მოიპოვა.

ეროვნულ გუნდში ბარტეზმა 48 მატჩი ითამაშა, პირველად კი 1994 წლის 26 მაისს ავსტრალიის წინაალმდეგ.

ფაბიენი ზორბა ვინმე არ არის, მიწას ოდენ 183 სანტიმეტრით ასცილებია და 76 კილოგრამს იწონის.

ბარტეზი მხიარული ფრანგია და თავის 31-ე დაბადების დღეს უთუოდ არ მოიწყენს, მიუხედავად იმისა, რომ ამ მუნდიალზე ფრანგები მაგრად ჩაფლავდნენ. თმები კი მას უკვე მაშინ სცვიოდა, როცა ჯეელობაში „მონაკოს" კარს დარაჯობდა.

### კენი კანინგემი
(ირლანდია). 28.06.71



კენი მცველია და ინგლისური „უიმბლდონის" დამცავ ჯებირს აშენებს. მანამდე ამას ასევე ინგლისური „მილუოლისთვის" აკეთებდა.

ეროვნულ გუნდში 1996 წლიდან თამაშობს და 38 კეპიც დაუგროვებია, ხოლო კორეა-იაპონიაში მიკ მაკარტი მას მხოლოდ ორჯერ ენდო.

კანინგემს ეროვნულ გუნდში გოლი ჯერაც არ გაუტანია, არადა, კაცი დღეს 31 წლის გახდა. თუმცა ის ხომ მცველია.

### ბერნდ ტიისი
(ბელგია). 28.06.78



ეროვნულ გუნდის თავკაცი რობერ ვასეჟი ამ მცველს კი აქებს-ხოლმე, მაგრამ მუნდიალზე ერთი წუთითაც არ შეუშვა სათამაშოდ.

ბერნდი ღონიერი ბიჭია და ორთაბრძოლებში ძალიან ძლიერია. ადრე ლიეჟის „სტანდარდში" თამაშობდა, ახლა კი მშობლიურ და ნაბოსკამპარ „გენკშია".

ტიისს ნაკრებში ორჯერ უთამაშია, წინა სეზონში კი ბელგიის ჩემპიონობით იჯერა გული.

## მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი
### ფიფა-ბუდვაიზერის ვერსია

მეოთხედფინალი

გერმანია — აშშ: კლაუდიო რეინა (აშშ)

ესპანეთი — ს. კორეა: ვოონ-იაე ლი (ს. კორეა)

ინგლისი — ბრაზილია: რივალდო (ბრაზილია)

სენეგალი — თურქეთი: ჰასან შაში (თურქეთი)

ნახევარფინალი

გერმანია — ს. კორეა: მიხაელ ბალაკი (გერმანია)

ბრაზილია — თურქეთი: რონალდო (ბრაზილია)




ქირავდება აგარაკი კოჯორში

წაიყვანეთ ბავშვები, უკეთეს ადგილს სად ნახავთ

ფასი არ შეგაშინებთ

ტ: 899 91-66-11; 29-35-80 (საღამოს)

გერმანია

# მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური

**27 ივნისი** ვიო ახვლედიანი

ბრაზილია

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ზოგადი და ტრადიციული

## ფინალის ორი დიდოსტატის ფინალი

**ესე იგი,** მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. ფაქტობრივად დასრულდა, თორემ მთავარი და ერთადერთი წინ დარჩა, ანუ ფინალი, რომელიც ჩემი დაკვირვებულობით ძალიან ემსგავსება ნახევარფინალებს. ანუ იმ ორ მატჩს, გუშინ და გუშინწინ რომ გაიმართა. ეს ნახევარფინალები კი, თავის მხრივ, ძალიან ჰგავდა ზოგად ნახევარფინალებს და ასევე ერთმანეთს.

ზოგადი ნახევარფინალი ის ნახევარფინალია, რომელიც ცნობილი სცენარით მიმდინარეობს. ვთქვათ, ასეთი იყო ბრაზილია — შვედეთის ნახევარფინალი რვა წლის წინათ და საფრანგეთ — ხორვატიის ნახევარფინალი ოთხი წლის წინათ.

რა ხდება ხოლმე ზოგად ნახევარფინალში?

ის, რაც მოხდა ჩვენს მიერ ნანახ ორ მატჩში: ერთი მოწინააღმდეგე არცთუ მოწესრიგებული და უპრობლემო დიდი გუნდია, მეორე კი წამოქაჩული, კარგად ნასწავლი, მოშზადებული და უტეხი პატარა და უტიტულო გუნდი.

ამათგან პირველი ახერხებს ერთი გოლის გატანას, მეორე კი — ვერა.

ასეთ ნახევარფინალებში საქმე არ მიდის დამატებით დრომდე, მეოთხედფინალი, ან მერვედფინალი რომ იყოს, კიდევ მივიდოდა დამატებითამდე, მაგრამ ნახევარფინალში დიდი მაინც დიდობს ხოლმე.

ეს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დამახასიათებელი ამბავია, რადგან დიდი საკლუბო ტურნირებისგან განსხვავებით, აქ საპლეიოფო თამაში ერთია, საპასუხოს არავინ გაგიმართავთ.

ყოველივე ამის ფონზე, საკვირველი იქნებოდა, რომ კორეისა და თურქეთის ნაცვლად ნახევარფინალში ირლანდიელები, მექსიკელები, ან მერვედფინალიდან გასტუმრებული სხვა ვინმეები ყოფილიყვნენ? ალბათ, არა.

მსოფლიოს ჩემპიონატი უცნაური ტურნირია.

პირველ რიგში იმიტომ, რომ ის არის ნაზავი წრიული და საპლეიოფო შეჯიბრებებისა და ორადაა გაყოფილი, ანუ გუნდს ორი სტრატეგია სჭირდება. ჯერ ჩემპიონატივით უნდა ითამაშოს, მერე კი თასივით. ამას განსაკუთრებული გამოცდილება სჭირდება. ამგვარ განსაკუთრებულ გამოცდილებას, ცოტა ვინმე თუ ფლობს. ეს გამოცდილება ტრადიციასავითაა. აბა, შეხედეთ ვინ გავიდა ფინალში? ის, ვინც სულ ფინალშია. საერთოდ, მიჩვეულნი ვართ, რომ ფინალში ან ბრაზილიაა, ან გერმანია.

იმას ვერ მოგახსენებთ, რომ ბრაზილიელები და გერმანელები მხოლოდ ამიტომ გავიდნენ ფინალში, რომ ყოველთვის გადიან, მაგრამ ყოველთვის გადიან და რას იტყვი?

სხვა საქმეა, რომ ჩემპიონატის ჯგუფურმა ტურნირმა ისე დაფერთხა ფავორიტთა ლაშქარი, რომ მერე კაცი ველარ გაიგებდა, რა ხდებოდა. ვინც მერვედფინალში გააღწია, იმათაც გვარიანი ბრძოლები მოუხდათ ბოლო ტურში. იტალია საერთოდაც ხორვატთა ფსიქოზურმა მდგომარეობამ გაიყვანა. გერმანელებმა კი ყვითელ-წითელი ბარათების ტყეში გააღწიეს და წიქარასავით სავარცხლის სროლით დაამარცხეს კამერუნელები.

არა, სერ, რაც გინდათ ის თქვით, როგორც გნებავთ, ისე აკრიტიკეთ გერმანიის ნაკრები, აღნიშნეთ, რომ გზად ძლიერი არავინ შეხვედრია (თუმცა, რალას გაიგებ ძლიერი რომელია და სუსტი რომელი), მაგრამ ამ გუნდმა რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში იცის, ნამდვილია. გერმანელებს თითქოს გენში აქვთ, რომ ამ ტურნირზე ყველაფერს მიაღწიონ. გვარიანი შესვენება კი გამოუვიდათ, მაგრამ აი, ხომ ხედავთ? მიცოცავდნენ, მიცოცავდნენ და მიცოცდნენ კიდეც.

ვინ ვერ ისწავლა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში და ინგლისის ნაკრებმა. ამ გუნდს ალბერტ აინშტაინი რომ დაუნიშნო მწვრთნელად და ყველაფერი დაუთვალო, რაღაც შარს და ხლაფორთს მაინც გადაეყრება. ან სიმენს დაავიწყდება რომ მეკარეა, ან ბექემს მოუფრიკინებს რაღაც, ანაც ვილაცა ჯერ ხელით გაუტანს, მერე ფეხით, ანდა თვითონ გაიტანს. თუ ვერ გაიტანს და მერე მთელი მსოფლიო ილაპარაკებს, გაიტანესო, ვერ გაიტანესო, გაუტანესო, ვერ გაუტანესო.

ამ ჩემპიონატზეც, ინგლისური სტრატეგია მცდარი იყო. შვედმა ინგლისი ისე ჩააყენა კარში, თითქოს ქოვენთრის ჰიტლერი ბომბავდა. ინგლისელებმა ერთადერთი გოლი გაიტანეს ისე, რომ მოწინააღმდეგის ფეხიდან არ მიუღიათ ბურთი. დანარჩენი სულ სხვის შეცდომებზე ნადირობით გავიდა. ეს კარგია, მაგრამ ინგლისი გოლის ქვეყანაა და არა რიკოშეტების ლოდინისა. ამიტომაც, ფინალში ბრაზილიაა.

გერმანიის არ იყოს, ბრაზილიელებიც ჩემპიონატისთვის შობილი გუნდია. ეგებ გაისად აღარც გახსოვდეს ლუიზაოს და ჟილბერტო სილვას სახეები, ანდა ედმილსონ-კლებერსონის რაობა, ისევე როგორც არ გახსოვს, რატომ იყო მაგარი სეზარ სამპაიო, ანდა ზინიო, მაზინიო თუ ვიოლა, მაგრამ ყველა ჩამოთვლილი ფეხბურთელი ბოლო სამი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტია და ზოგიერთები, მსოფლიოს ჩემპიონებიც.

არგენტინა ბარე ოთხჯერ ყოფილა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, იტალია კი ბარე ხუთჯერაც. მე თუ მკითხავთ, გერმანელთა და ბრაზილიელთა შემდეგ სწორედ იტალიაა მსოფლიოს ჩემპიონატების დიდი სპეციალისტი, ხოლო არგენტინა თავისი ოთხი ფინალიდან ორს, პირადად დიეგო მარადონას უნდა უმადლოდეს. იტალიელები ფინალში ყოფილან ლამის ყოველ ეპოქაში, არგენტინელთა ზეობის დრო კი არის ზედიზედი გასვლები ოთხი ჩემპიონატიდან, სამში.

ამიტომ იტალიის გავარდნა ყოველთვის ხმაურიანია ხოლმე. პენალტებით თუ გავარდა, კიდევ იტყვიან, აიო, ან ბაჯომ ააცილაო, ან ძენგამ ვერ უშველაო, ან დი ბიაჯოს გაუცუდდაო, მაგრამ, თუ ვინმემ საპლეიოფო თამაშში იტალიას გოლი გაუტანა და ისე მოიგო, ადამიანი ვერ იჯერებს, რომ ისეთი სამსოფლიოჩემპიონატო მგელი, როგორიც იტალიის ნაკრებია, ვილაცასთან თამაშში მარცხდება და ისე მიდის შინ.

ოთხ წელიწადს იმიტომ ველოდებით ხოლმე ჩემპიონატს, რომ იქ ფეხბურთის დიდ კლასიკოსთა დიდი შეჯახებები ვიხილოთ პლეი ოფებში, მაგრამ ჯგუფური ტურნირი არ არის კლასიკური შეჯიბრი. კლასიკური შეჯიბრი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ნახევარფინალია. აი, ისეთი, როგორიც იყო ბრაზილია — ჰოლანდია ოთხი წლის წინათ. თუმცა, ასეთი თამაშები სულ უფრო ცოტაა და წლეულს მგონი, საერთოდაც არ ყოფილა. ინგლის — ბრაზილიას ჰქონდა ამგვარ შეხვედრად ქცევის შანსი, მაგრამ ძირითადად ინგლისელთა სათამაშო კონცეფციის გამო ვერ გამოდგა კლასიკური.

აქედან გამომდინარე კი, რას ველოდებით?

ანუ, ჩვენ არ უნდა ველოდოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშებენ ბრაზილია, არგენტინა, გერმანია და იტალია. ასეთი, ან ამის მსგავსი რამ ხდებოდა ოდესლაც, მაგრამ ვერ მოხდა 1978 წელსაც კი... საერთოდ, რაც მსოფლიოს ფეხბურთში ჰოლანდია შემოიჭრა, იმის შემდეგ შემოიჭრა კლასიკოსთა ამბავში სხვა სამყარო, ანუ, როცა კლასიკოსები კლასიკოსებად იქცნენ, ეს კი დაახლოებით 1970 წელს უნდა მომხდარიყო და მაშინ საერთოდ არ არსებობდა არგენტინა, როგორც კლასიკოსი, იქავ გაჩნდა ჰოლანდია და მოახდინა რევოლუცია.

ამიტომ, არ უნდა ველოდოთ იმას, რამაც ფეხბურთი შეგვაყვარა. ამას რომ ველოდებით და ვერ ვნახულობთ, იმიტომაა, რომ მერე ვიწუწუნებთ მსოფლიოს ჩემპიონატს. ჩვენ არა ვართ მიჩვეული თურქების და სენეგალელების ცქერას, ამასობაში კი ლამის ყველა მსოფლიოს ჩემპიონატს თავისი თურქები და სენეგალელები ჰყავს და მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება. კორეის ნაკრებს რომ მსაჯები ეხმარებოდნენ, ეს ისეთივე დახმარება იყო, ესპანელებს რომ ეხმარებოდნენ 1982 წელს. ეს გასაგებია, მაგრამ კორეის ნაკრები უფრო შორს წავიდა, ვიდრე ის ესპანეთის ნაკრები, რომელსაც საერთოდ ვერ გაჰქონდა გოლები.

ამიტომ, ველოდოთ ფინალს, ფინალის ორი დიდოსტატის პირველ შეხვედრას ფინალში.









საგანგებო ლოზუნგი

ელოდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამ ჩემს ფეხებს დასვენება უნდა



ხალხი დევიდ ბექჰემის საწოლში ჩაწოლას ითხოვს

**ტურიზმის** ბიზნესში მოღვაწე კომპანია „ვესტერნ ავაჯი აილანდ რეზორტს" არნახულად გაუმართლა, როცა დაახლოებით ერთი თვის წინ ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობამ, ალბათ, სრულიად შემთხვევით, სწორედ მისი მომსახურებით სარგებლობა ირჩია. სიცხადისთვის დავძენთ, რომ ხსენებული კომპანიის სასტუმროები კუნძულ ავაჯიზეა. თავად კუნძული კი ტოკიოდან 435 კილომეტრითაა დაშორებული.

მაისის ბოლოს ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ იაპონიაში ჩავიდა და ნახსენები კომპანიის ერთ-ერთ სასტუმროში დაბინავდა. ერთი კვირის წინ კი, ბრაზილიასთან მეოთხედფინალში დამარცხების მერე სვენ გორან ერიკსონის გუნდი მუნდიალს გამოეთიშა, რის გამოც ინგლისელებს ჩემოდნების ნაადრევად ჩალაგება და სამშობლოში დაბრუნება მოუხდათ. სასტუმროსთან, ცხადია, ყველა ანგარიში პირნათლად გაასწორეს და ამით თითქოს ყველაფერი დასრულდა...

თუმცა აგერ, უკვე ერთი კვირაა, სასტუმროს მენეჯერები სატელეფონო ზარებს ვერ აუდიან. რამდენიმე ათეულმა კლიენტმა უკვე ისურვა ნომრის დაქირავება, ამაზე ათჯერ მეტი ხალხი სასტუმროს ახლომახლო დაეხეტება და იმ ბედნიერ მომენტს ელის, როცა ნომრის დაჯავშნის საშუალება მიეცემა. განსაკუთრებით თურმე იმ ოთახის დაქირავებაზეა ტაციაობა, სადაც ინგლისელთა კაპიტან დევიდ ბექჰემს ეძინა.

სასტუმროს დირექცია მთლად საზრიანი ვერ გამოდგა. ჯერ ერთი, რომ ფეხბურთელთა ნაცხოვრები არც ერთი ნომერი არ გაუქირავებიათ და საბრალო ტურისტებს ამაოდ ალოდინებენ, თან იმასაც არ ამხელენ, რომელ ნომერში ვის ეძინა, რითაც ბექჰემის ნაწოლ ლოგინში ჩაგორების მსურველებს აწბილებენ. „არ გავთქვამთ, რომელ ფეხბურთელს სად ეძინა" — ჯიუტად აცხადებს ადმინისტრაცია.

ტყუილად მომლოდინე ტურისტებს ჯერჯერობით სასტუმროს რესტორანში შესვლას და იმ კერძის მირთმევას სთავაზობენ, რომელსაც ინგლისის ნაკრების კაპიტანი უფრო ხშირად მიირთმევდა. და კიდევ ერთი დამატებითი სერვისი — ფეხის მასაჟი სწორედ იმ ქალბატონისგან, ვინც სასტუმროში დაბრუნებულ დაღლილ დევიდს უწევდა ზუსტად იგივე მომსახურებას.

ნახსენები მასაჟისტი ქალბატონი იმასაც კი ელირსა, რომ ადგილობრივი ტელევიზიის ახალი ამბების გამოშვებაში გამოიყვანეს და ბექჰემის ფეხებზე ალაპარაკეს. „თამაშის შემდეგ დევიდს ძალიან გადაღლილი ჰქონდა კუნთები" — ბრძანა ვარსკვლავად ქცეულმა მასაჟისტმა.

**ნიკა ზუზლაძე**

# სენეგალმა გზა და სახელი გაიმრუდა

**ტაივანურმა მედიამ** სენეგალის ნაკრებს შეუტია, აფრიკელებმა ზრდილობის ელემენტარული ნორმები დაარღვიესო.

საქმე ის გახლავთ, რომ, როცა ტაივანის პრეზიდენტი ჩენ შუი ბიანი სიტყვას წარმოთქვამდა, სენეგალელები ყურს არ უგდებდნენ და თავისთვის ლაზღანდარობდნენ. არადა, ქვეყნის პირველმა პირმა სწორედ საპატიო აფრიკელი სტუმრებისთვის დახარჯა ძვირფასი დრო.

და რა უნდოდათ სენეგალელებს ტაივანზე? თურქებთან მეოთხედფინალში დამარცხების მერე, სამშობლოსკენ მიმავალი აფრიკელები ორიოდე დღით ტაივანში შეჩერდნენ და იქაურ ნაკრებთან ამხანაგური მატჩი უნდა ჩაეტარებინათ. სწორედ სტადიონზე შეხვდა მათ ქვეყნის პრეზიდენტი.

სენეგალელი ფეხბურთელები მართლაც გავიდნენ მოედანზე, თუმცა ნაცვლად იმისა, რომ ფეხბურთი ეთამაშათ, ავტოგრაფები ჩამოარიგეს და მალევე შებრუნდნენ გასახდელში.

არადა, სენეგალელთა ტურნეს ორგანიზატორ ტაივანელებს დაახლოებით 250 ათასი დოლარი დაუხარჯიათ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით მოთამაშე აფრიკული გუნდის მისაწვევად. მასპინძლებმა საკუთარ თავზე აიღეს სასტუმროსა და მგზავრობის ხარჯი. ამის გარდა, სენეგალელ ფეხბურთელებს მცირე გასამრჯელოსაც დაჰპირდნენ.

სენეგალელებს კი მოეთხოვებოდათ ის, რაც უკვე ვთქვით: დაესვენათ ტაივანში, ეთამაშათ ამხანაგური მატჩი და კიდევ, ზრდილობის გამო მოესმინათ ქვეყნის პრეზიდენტისთვის. ამ სამი პირობიდან სენეგალელებმა ბოლო ორი ვერ შეასრულეს.

მოვლენათა ამგვარი განვითარების ფონზე ბოდიშის მოხდა დასჭირდა სენეგალის ატაშეს, რომელმაც თქვა: „მართალია, სენეგალი ღარიბი ქვეყანაა, მაგრამ ჩვენ პასუხისმგებლობის და ღირსების გრძნობა გაგვაჩნია. გამოვრიცხავ იმას, რომ ეს ყველაფერი ფინანსური უთანხმოების გამო მომხდარიყო."



ხალილუ ფადიგამ ძვირფასეულობის მერე პრეზიდენტის დროც მოიპარა

მით უარესი, თუ სენეგალელ ფეხბურთელებს ეს სამარცხვინო ამბავი ოდენ უზრდელობით მოუვიდათ. შეგიძლიათ, ხალილუ ფადიგას ხელმრუდობაც გაიხსენოთ.

**ნიკა ზუზლაძე**

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი

კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა

გულის დაავადებების თანამედროვე სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა

- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგული და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)

☎ 53-73-00; 95-00-33



# დევიდ ოლირი

*დაიბადა 1958 წლის 2 მაისს*

*1977: გააფორმა კონტრაქტი „არსენალთან"*

*1979: ლონდონურ კლუბთან ერთად ასოციაციის თასი მოიგო*

*1987: მოიგო ინგლისის ლიგის თასი*

*1989: გახდა ინგლისის ჩემპიონი*

*1990: მსოფლიოს ჩემპიონატზე რუმინეთის ნაკრების კარში გაიტანა გადამწყვეტი პენალტი, რითაც ირლანდიის ნაკრები მეოთხედფინალში გავიდა*

*1991: მეორედ გახდა ინგლისის ჩემპიონი*

*1993: მოიგო ასოციაციის თასი და ინგლისის ლიგის თასი. გააფორმა კონტრაქტი „ლიდს იუნაიტედთან"*

*1995: ტრავმის გამო მოთამაშის კარიერა დაასრულა*

*1998: დაინიშნა „ლიდს იუნაიტედის" მწვრთნელად, პოსტზე ჯორჯ გრემი შეცვალა, ვის ასისტენტადაც სამი წელი იმუშავა*

*1999: „ლიდს იუნაიტედმა" პრემიერლიგაში მეოთხე ადგილი დაიკავა და უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა*

*2000: „ლიდს იუნაიტედი" უეფას თასის ნახევარფინალში გავიდა*

*2001: იორკშირულმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ითამაშა*

*2002: 27 ივნისს „ლიდს იუნაიტედის" მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს*

# ვერ ყოფილხარ კარგი მოლარე

**„ლიდს იუნაიტედმა"** მწვრთნელი დევიდ ოლირი თანამდებობიდან დაითხოვა. მიზეზად კლუბსა და ირლანდიელ სპეციალისტს შორის არსებულ უთანხმოებას ასახელებენ, ხოლო იმას, თუ ვინ იქნება იორკშირელთა ხელმძღვანელი მომავალი სეზონიდან, ალბათ, უახლოეს ორ კვირაში გამოაცხადებენ.

ბრიტანული გაზეთები წერენ, რომ ოლირის წასვლა კლუბიდან, სადაც მან ოთხი წელიწადი იმუშავა, უფრო მეტად ფინანსურ საკითხს უკავშირდება. „ლიდს იუნაიტედი", მოგეხსენებათ, ზედიზედ მეორე სეზონია, ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა, რაც მომავალ სეზონში კლუბის შემოსავალს მნიშვნელოვნად შეამცირებს. ბიუჯეტის შესავსებად კი იორკშირელთა თავჯდომარე პიტერ რიდსდეილს მწვრთნელისთვის წამყვანი მოთამაშეების გაყიდვა მოუთხოვია, რასაც დევიდ ოლირი არ დათანხმდა.

უპირველეს ყოვლისა, საუბარია მცველ რიო ფერდინანდის „ელანდ როუდიდან" გაშვებაზე, რადგან მის სანაცვლოდ „მანჩესტერ იუნაიტედი" დიდძალ თანხას იხდის.

თავად ფერდინანდი ოლირის „ლიდსიდან" წასვლას გაუოცებია. „შოკირებული ვარ, ოლირი გუნდს ყოველთვის მხარში ედგა და არ ვიცი, რატომ გაუშვეს. პირადად მე თვრამეტ მილიონ გირვანქად სწორედ დევიდის დაჟინებით მოვხვდი „ლიდსში" — თქვა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელმა.

„ლიდსის" ყოფილი ფორვარდი ლი ჩეპმენი დარწმუნებულია, რომ ოლირის წასვლა სწორედ რიო ფერდინანდის შესაძლო გაყიდვას უკავშირდება. ჩეპმენმა თქვა, ველოდი, რომ თუ ოლირი მომავალი სეზონის ბოლოსაც ვერ მოიგებდა რაიმე ჯილდოს, მას დაითხოვდნენ, მაგრამ მისი ახლა წასვლის ცნობამ გამაკვირვა, რადგან ახალი სეზონის წინ მას გუნდის მიტოვება არ სჩვევიაო.

„დევიდ ოლირი პრინციპული კაცია. ხელმძღვანელობას მან, ალბათ, უთხრა, თუ რიო ფერდინანდი წავა, მეც წავალო და საბოლოოდ ასეც მოიქცა" — დაასკვნა ჩეპმენმა.

ისიც დაითვალეს, რომ ოთხი წლის მანძილზე ოლირის „ლიდსში" ახალი ფეხბურთელების მისაყვანად 100 მილიონი გირვანქა აქვს დახარჯული. ახლა კი ლაპარაკია იმაზე, რომ „ელანდ როუდიდან" ფერდინანდის გარდა შესაძლოა სხვა ვარსკვლავები — ლი ბოიერი, დენი მილსი, მარკ ვიდუკა, ჰარი კიუელი, რობი კინი და ოლივიე დაკურიც წავიდნენ.

**ნიკა ზუზლაძე**

## დევიდ ოლირის სავარაუდო შემცვლელები. უილიამ ჰილის კოეფიციენტები

| | | | |
|---|---|---|---|
| მიკ მაკარტი | 3-1 | ალან კერბიშლი | 16-1 |
| მარტინ ონილი | 4-1 | როჟე ლემერი | 16-1 |
| გორდონ სტრაჩანი | 5-1 | დევიდ პლატი | 20-1 |
| გუს ჰიდინკი | 5-1 | სვენ გორან ერიკსონი | 25-1 |
| ფილიპ ტრუსიე | 8-1 | ჯორჯ გრემი | 50-1 |
| ბრაიან კიდი | 10-1 | ერიკ კანტონა | 100-1 |
| პოლ ჰარტი | 12-2 | ალექს ფერგიუსონი | 100-1 |

# ინტერტოტოს თასი

# რა ვჭამოთ?

## ლოკერენმა თბილისში ფადიგა ჩამოიყვანა

ინტერტოტოს თასი 2002. პირველი შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

**ვიტ ჯორჯია — ლოკერენი**

პირველი მატჩი 1:3

თბილისი. ლოკომოტივი (ტევადობა 25 600). 29 ივნისი. 19 საათი

**გუშინ,** შუადღის ორ საათზე, ბელგიური „ლოკერენი“ თბილისს ესტუმრა. ბელგიელებმა აეროპორტში მცირე ფორმალობები უპრობლემოდ მოაგვარეს და სალამოხანს სასტუმრო „საირმეს“ ეწვივნენ. აქ კი, აეროპორტისგან განსხვავებით, რიგ სირთულეებს გადააწყდნენ. ზანგებით დაზუნძლულმა „ლოკერენმა“ სამშობლოდან თბილისში საკუთარი მენიუც წამოაყოლა ხელს და... ცხადია, სასტუმრო „საირმეს“ მომსახურე პერსონალმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. პრობლემებიც აქ გაჩნდა — ბელგიელებმა საკმაოდ პრეტენზიული მოთხოვნები წამოაყენეს. თავად სასტუმროს წარმომადგენლის აზრს, მენიუში შემავალი საკვების სია ფაქსით უნდა გამოგეგზავნათო, ყურიც არ ათხოვეს. „ვიტ ჯორჯიას“ გენერალურმა მდივანმა მალხაზ კაკაურიძემ კი ამ გაუგებრობას მცირე ხნით „შეავლო“ თვალი, მოგვიანებით სამართლიანადაც აღნიშნა — ეგ ჩემი პრობლემა არ არისო და უმალ გაეცალა იქაურობას.

საბოლოოდ სტუმარ-მასპინძელმა საერთო აზრის გამონახვა შეძლეს. ფეხბურთელებიც სასტუმროს ნომრებში მოეწყვნენ და ცოტა ხანში გარეთაც გამოეფინნენ. საჭმელ-სასმელზე ფიქრით კვლავ დელეგაციის (სულ 38 კაცი) ხელმძღვანელობა იმტვრევდა თავს. ფეხბურთელები კი მაგიდებს შემოუსხდნენ და შთაბეჭდილებების გაზიარების გარდა ოხუნჯობითაც გამოიჩინეს თავი. ამაში განსაკუთრებით შავკანიანები ყოჩაღობდნენ. ერთ-ერთმა კი, თითი კულულებიან ზუნდისკენ გაიშვირა და სიამაყით მოგვახარა, ხალილუ ფადიგა ჩამოვიყვანეთო.

ვერ გეტყვით, რით ჰგავს სენეგალის ნაკრების ლიდერი ფადიგა და ბურკინაფასოელი ზუნდი ერთმანეთს, თუმცა იმას კი მოგახსენებთ, რომ სწორედ ზუნდმა გაუტანა პირველი გოლი „ვიტ ჯორჯიას“ ლოკერენში. მანაც თანაგუნდელის ნათქვამს ყური მოჰკრა თუ არა, წამსვე ღიმილით შემოგვხედა და გვაგრძნობინა — არ დაუჯეროთ, ფადიგამდე ჯერაც ბევრი მიკლიაო. ალბათ, ასეც არის, მაგრამ აქვე აღვნიშნოთ, რომ შესაძლოა, ზუნდი „ლოკერენს“ თბილისურ მატჩში ვერ დაეხმაროს. მას წინა თამაშში მიღებული ტრავმა ვერ მოურჩენია, რაც „ვიტ ჯორჯიასთვის“ სასიამოვნო ამბავი უნდა იყოს.

საერთო ჯამში ბელგიელებს ერთობ დინჯად ეჭირათ თავი და კარგადაც ეტყობოდათ, არაფრის დამთმობნი არ არიან. თუმცა ისიც სათქმელია, რომ რამდენიმე ფეხბურთელის თამაში ტრავმის გამო საეჭვოა. ზუნდიზე უკვე გითხარით, კიდევ ძირითადი შემადგენლობის ოთხი მოთამაშე — მაიგა, მუზინგა, იბრაჰიმი და ბანგურა კი მწვრთნელს საერთოდ არ ჩამოუყვანია თბილისში.

სტუმართა აზრს „ვიტ ჯორჯიასთან“ მოსალოდნელი მატჩის შესახებ კი მათივე კომენტარებიდან უკეთ შეიტყობთ.

***პოლ პუტი, „ლოკერენის“ მთავარი მწვრთნელი:***

— ლოკერენში მძიმე თამაში იყო. 60 წუთი თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. მერე ქართველები დაიღალნენ და რამდენჯერმე შეცდნენ. ჩვენ შეცდომები გამოვიყენეთ და ორი გოლიც გავიტანეთ. მართალია, ერთი პენალტიდან, მაგრამ მასაც ხომ დამსახურება უნდა. შაბათსაც მძიმე მატჩი იქნება. „ვიტ ჯორჯია“ ახალგაზრდული, შეკრული გუნდია, კარგ ფეხბურთს თამაშობს. რამდენიმე ქართველმა ფეხბურთელმა თავიც მომაწონა, ოღონდ მათი გვარები არ მახსოვს. ლოკერენში ჩვენი შესაძლებლობების ნახევარი ვაჩვენეთ. ეს შეუთამაშებლობის ბრალია. რაც ბელგიის ჩემპიონატი დასრულდა, თქვენიანებთან პირველი ოფიციალური მატჩი იყო. გუნდი ახლა კომპლექტდება, შვიდი ახალი ფეხბურთელი დავიმატეთ და საქმეში ისინი პირველად სწორედ „ვიტ ჯორჯიასთან“ ვნახე, თანაც ფეხბურთელები ცოტა დაღლილები არიან.

**— შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსებს როგორ აფასებთ?**

— ორბურთიანი უპირატესობის მიუხედავად, შანსები თანაბარია. „ვიტ ჯორჯია“ ახლა შინ თამაშობს და მცირე უპირატესობას ფლობს. ალბათ, თავიდანვე შემოგვიტევს და თუ გავუძელით, მერე ყველაფერს საშემსრულებლო ოსტატობა გადაწყვეტს.

ლოკერენში „ვიტ ჯორჯიას“ მესამე გოლი ისლანდიელმა ***კრისტინსონმა*** გაუტანა შორეული დარტყმით. კრისტინსონი თბილისშიც ჩამოჰყვა გუნდს და აქაც აპირებს ვეტერანართა დამწუხრებას. ტიპიური ისლანდიური იერის მქონე კრისტინსონი თანაგუნდელთა გარემოცვაში საუბრობდა, როცა მატჩისწინა კომენტარი ვთხოვეთ.

— „ვიტ ჯორჯია“ კარგი გუნდია. გამართულ ფეხბურთს თამაშობს და ლოკერენში რამდენიმე საგოლე მომენტიც ჰქონდა. საბედნიეროდ, მხოლოდ ერთი გაგვიტანეს. 3:1 ის ანგარიშია, დამშვიდების საშუალებას რომ გვაძლევს, მაგრამ თუ პირველი გოლი გავუშვით, მერე ძალიან გაგვიჭირდება. მე, თბილისშიც გოლის გატანას ვაპირებ, რითაც ჩვენს შანსს კიდევ უფრო გავზრდი. შემდეგ ეტაპზე გასვლა ორივე გუნდს შეუძლია. არც ჩვენ ვართ ფორმის პიკში და არც „ვიტ ჯორჯია“. ასე რომ, ყველაფერი შაბათს გამოჩნდება.

***ზუნდი, თავდამსხმელი:*** დიდი იმედი მაქვს, რომ გავიმარჯვებთ. ჯერ კიდევ არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა, ფეხი ოდნავ მაწუხებს. თუ თამაში შევძელი, ვეცდები, უგოლოდ არც ამჯერად დავტოვო მოედანი. შანსებს კი სამოცდაათი-ოცდაათზე ვაფასებ ჩვენს სასარგებლოდ. მეტოქეს პატივს კი ვცემ, მაგრამ „ლოკერენი“ უფრო ძლიერია. ამას თქვენც დაინახავთ.

„ლოკერენის“ თავკაცმა პოლ პუტმა შემდეგი ფეხბურთელები იახლა თბილისში: ***კონტე, ხილა, კიმოტო, ხეიფო, დე ვრუ, ვან დერ ოუდღტი, გრეტარსონი, კრისტინსონი, კატანა, ვიდარსონი, ვან დენდერი, ვან ჰოი, ზუნდი, კულიბალი, ზერუ, დე ნეფი, დე ბიული.***

ბელგიელები დღეს 19 საათზე ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ივარჯიშებენ. ხვალ ამავე სტადიონზე ინტერტოტოს თასის საპასუხო მატჩი ელით „ვიტ ჯორჯიასთან“. მეორე დღეს კი დილითაც წაივარჯიშებენ და მერელა მიაშურებენ სამშობლოს.

**ბახა ზალამბერიძე**
**ბაჩო სვანიძე**



პოლ პუტი თბილისში იოლ გასეირნებას არ ელის



ისლანდიელი კრისტინსონი მეგოლე კაცია



არ ვარ მე ფადიგა, ზუნდი ვარ



ბელგიელი შავები „ვიტ ჯორჯიას“ ორი გოლით დაემუქრნენ



ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი ჯერჯერობით თანაგუნდელები არიან

# კობიაშვილი ძვირია!

## ფრაიბურგისთვის უარისმთქმელ ლევერკუზენს კაიზერმაც მიბაძა

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, რომ ლევან კობიაშვილი შესაძლოა, ისევ „ფრაიბურგში“ დარჩეს და მომავალი სეზონი გერმანულ მეორე ბუნდესლიგაში გაატაროს.

ქართველი ფეხბურთელი, „ფრაიბურგს“ ორიოდ დღის წინ დაუბრუნდა და კლუბთან ერთად საახალსეზონო მზადებას შეუდგა. ლევან კობიაშვილს, ალბათ მოგეხსენებათ, ბოლო ხანს მთხოვნელი არ აკლდა და „ფრაიბურგმა“ ამ ფეხბურთელის გადაბირების თაობაზე რამდენიმე წინადადება მიიღო. კობიაშვილის სატრანსფერო თანხაც გამოცხადდა — ოთხი მილიონი ევრო. ეს ფასი თუ იყო მიზეზი, ფეხბურთელის მსურველმა გუნდებმა „ფრაიბურგს“ უარი რომ შეუთვალეს. სულ ბოლოს კი ერთი ვარიანტიღა დარჩა — კობიაშვილის დაგულებას „კაიზერსლაუტერნი“ და მისი მწვრთნელი ანდრეას ბრემე ცდილობდნენ, მათ არც დაუმალავთ თავიანთი სურვილი, თუმცა 4 მილიონი აფრთხობდათ. რამდენიმე დღის წინ „ფრაიბურგი“ და „კაიზერსლაუტერნი“ კვლავ დასხდნენ კობიაშვილის თაობაზე მოსალაპარაკებლად. მსურველმა ფრაიბურგელებს 500 ათასით ნაკლები შესთავაზა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო და კლუბებიც კეთილად დაშორდნენ ერთმანეთს. თუმცა ამის მიუხედავად, ლევან კობიაშვილს სხვა კლუბში გადასვლის იმედი ჯერაც არ დაუკარგავს. ის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებას ელის, ევროპაში საფეხბურთო სამყარო ამოძრავდება და იქნებ ახალი კლუბის ვარიანტიც გამოჩნდესო, გვითხრა ლევანმა.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ლევან კობიაშვილს „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი გაისად უმთავრდება.

**ძობა ინასარიძე**

# ახალი ახალაიაა

## შუშაკი ლათინობიჭებს გერმანიაში აირჩევს

**ათგზის ჩემპიონს** შვებულება დაუმთავრდა და ახალი სეზონისთვის მზადებას გუშინ შეუდგა.

თბილისის „დინამოდან“ ჯერ არც ერთი ფეხბურთელი არ წასულა და ახალიც არავინ დაუმატებია გუნდს. თუმცა გუშინ „დინამოში“ პირველად ივარჯიშა ახალგაზრდული ნაკრების წევრმა, 20 წლის ლადო ახალაიამ. ეს ფეხბურთელი ბოლო დროს მოლდოვურ „ზიმბრუში“ იყო და შესაძლოა, მალე დინამოელი გახდეს. მაგრამ აქ გადამწყვეტი სიტყვა „დინამოს“ ხორვატ დამრიგებელ ივო შუშაკს ეკუთვნის. შუშაკი მუნდიალზე გახლდათ შორეულ აღმოსავლეთში, თუმცა მესამე ადგილისთვის მატჩს და ფინალს არ დაესწრება. ბატონი ივო ხვალ ჩამოვა თბილისში და ახალაიას „დინამოში“ დარჩენის საკითხიც მერელა გადაწყდება.

შეგახსენებთ, რომ „დინამო“ივლისის დამდეგიდან გერმანიის პატარა ქალაქ რუიტში გააგრძელებს მზადებას. შუშაკი იქ უცხოელ ფეხბურთელებსაც გამოცდის, რომელთა სიაც უკვე დევს კლუბის ოფისში — ასარჩევი ფეხბურთელები ძირითადად სამხრეთამერიკელები არიან.

**დავით თაგართქილაძე**



ლადო ახალაია

# სარბიელი და კროკო
# წარმოგიდგენთ

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ივნისი | | | | | | | | | |
| 16.00 | 1163 | კორეა-თურქეთი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| | | 30 ივნისი | | | | | | | | | |
| 16.00 | 1164 | ბრაზილია-გერმანია | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |

## ინტერტოტო. I ეტაპი. II წრე.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ივნისი | | | | | | |
| 19.00 | 056 | ვიტ ჯორჯია-ლოკერენი | ანგარიში – 5,0 | | | | | |
| 19.00 | 057 | კაერსისი-მარეკი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 19.00 | 058 | უნიონი-გლორია | 4,7 | 3,5 | 1,6 | 2 | 1,15 | 1 |
| 20.00 | 059 | ბროტნიო-ციურიხი | 3,2 | 3,3 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 20.00 | 060 | კოპერი-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 20.00 | 061 | ლევადია-ლეირია | 3,1 | 3,0 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 20.00 | 062 | სლავენი-დუკლა | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 20.00 | 063 | სანტ ჯულია-კოლრეინი | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,1 | 1,05 |
| 20.00 | 064 | აშდოდი-ბრნო (ნეიტრ.) | 2,4 | 3,2 | 2,4 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 21.00 | 065 | აკადემისკი-ბატე | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1 | 1,15 | 2 |
| 21.00 | 066 | ბ68 ტოფტირი-სენტ გალენი | 4,7 | 3,5 | 1,6 | 2 | 1,15 | 1 |
| 21.00 | 067 | პაფნარფიორდური-ცემენტარნიცა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 21.00 | 068 | ტეუტა-ვალეტა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,2 | 2,3 |
| 21.30 | 069 | ბრეგენცი-პარალიმნი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 22.00 | 070 | უალგირისი-ჰონვედი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 18.00 | 071 | შირაქი-სანტა კლარა | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |
| 19.30 | 072 | სენტ პატრიკსი-რიეკა | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| 20.00 | 073 | სინოტი-კონსტრუქტორული | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 21.00 | 074 | პაკა-ობილიჩი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 21.00 | 075 | დინაბურგი-ზაგლებე | 2,2 | 3,0 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში

კროკო

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

სამუშაო საათები 9⁰⁰ — 19⁰⁰

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

ნებისმიერ ბიუროში


## ნორვეგია. XIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 21.00 | 017 | ბოდოი გლიმტი-ვალერენგა | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| 21.00 | 018 | ბრანი-მოლდე | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 21.00 | 019 | ლინი-ბრინი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 21.00 | 020 | ოდ გრენლანდი-როზენბორგი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 21.00 | 021 | სოგნდალი-მოსი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 022 | სტაბეკი-სტარტი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 21.00 | 023 | ვიკინგი-ლილესტრომი | 1.65 | 3,4 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,9 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი
მატჩი მესამე ადგილისთვის
ძირითადი დრო.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ივნისი | | | | | | |
| 16.00 | 163 | კორეა-თურქეთი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,4 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი
ფინალი. ძირითადი დრო.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 16.00 | 164 | ბრაზილია-გერმანია | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,7 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი. გაიმარჯვებს ოქროს გოლით

29 ივნისი
16.00 4063 კორეა-თურქეთი ---- 6,5 ---- 7,5
30 ივნისი
16.00 4064 ბრაზილია-გერმანია ---- 6,0 ---- 8,0

### მსოფლიოს ჩემპიონატი. გაიმარჯვებს პენალტების სერიით

29 ივნისი
16.00 4163 კორეა-თურქეთი ---- 9,0 ---- 10,0
30 ივნისი
16.00 4164 ბრაზილია-გერმანია ---- 8,0 ---- 10,0

### I ტაიმის შედეგი

29 ივნისი
16.00 1063 კორეა-თურქეთი 2,8 2,1 3,3
30 ივნისი
16.00 1064 ბრაზილია-გერმანია 2,4 2,0 4,4

### რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

29 ივნისი
16.00 2063 კორეა-თურქეთი ---- 1,65 ---- 1,85
30 ივნისი
16.00 2064 ბრაზილია-გერმანია ---- 1,65 ---- 1,85

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

---- კი ---- არა
29 ივნისი
16.00 2163 კორეა-თურქეთი ---- 1,75 ---- 1,75
30 ივნისი
16.00 2164 ბრაზილია-გერმანია ---- 1,75 ---- 1,75

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირითადი დრო)

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

29 ივნისი
16.00 2263 კორეა-თურქეთი ---- 1,8 ---- 2,0
30 ივნისი
16.00 2264 ბრაზილია-გერმანია ---- 1,7 ---- 2,2

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ივნისი | | | |
| 16.00 | 2963 | კორეა-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 30 ივნისი | | | |
| 16.00 | 2964 | ბრაზილია-გერმანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

29 ივნისი
16.00 3963 კორეა-თურქეთი ---- 1,65 ---- 2,0
30 ივნისი
16.00 3964 ბრაზილია-გერმანია ---- 1,4 ---- 2,5

### ჩემპიონი

30 ივნისი 16.00
3651 ბრაზილია ---- 1,4
3655 გერმანია ---- 2,5

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[ბ] კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# რა დაინახა ამერიკამ ქართველში? ნიჭი!

ნბა-ს 2002 წლის დრაფტი წინა წლების დრაფტებისგან განსაკუთრებით გამორჩეული არ ყოფილა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ყოველწლიურად ატარებს დრაფტს და ამერიკული კალათბურთისთვის ეს ერთ ან ორ ხმაურიან კვირას ნიშნავს. სამაგიეროდ, ნბა-ს წლევანდელი „ღია კარის დღე" კარგა ხანს დაამახსოვრდება კალათბურთის ქართველ ქომაგობას.

26 ივნისს ნიუ იორკში, დარბაზ „მედისონ სკვერ გარდენში", ნბა-ს კარი შეაღო ნიკოლოზ ცქიტიშვილმა. 211-სანტიმეტრიანი, 19 წლის ქართველი თავდამსხმელი დრაფტის პირველ რაუნდში აიყვანა მეხუთე არჩევანის უფლების მქონე „დენვერ ნაგიტსმა".



REUTERS ნიუ იორკიდან

ნბა-ს მართლა მამამ და მართლა მარჩენალმა, ლეგენდარულმა კომისარმა დევიდ შტერნმა ნიკა ცქიტიშვილს გზა დაულოცა

## ნბა. დრაფტი 2002 პირველი წრე

### 26 ივნისი, ნიუ იორკი, მედისონ სკვერ გარდენი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 ჰიუსტონი | იაო მინგი | შანხაი შარკსი | ცენტრი |
| 2 ჩიკაგო | ჯეი უილიამსი | დიუკი | უკანახაზიელი |
| 3 გოლდენ სტეიტი | მაიკ დანლივი | დიუკი | ფორვარდი |
| 4 მემფისი | დრიუ გუდენი | კანზასი | ფორვარდი |
| 5 დენვერი | ნიკოლოზ ცქიტიშვილი | ბენეტონი | ფორვარდი |
| 6 კლივლენდი | დეჯუან ვაგნერი | მემფისი | უკანახაზელი |
| 7 ნიუ იორკი | ნენე ილარიო (გაუცვალა დენვერს) | ბრაზილია | ფორვარდი |
| 8 კლიპერსი | კრის უილკოქსი | მერილენდი | ფორვარდი |
| 9 ფინიქსი | ამარე სტუდემაიერი | საიპრის გრიკის სკოლა | ფორვარდი |
| 10 მაიამი | კერონ ბატლერი | კონექტიკუტი | ფორვარდი |
| 11 ვაშინგტონი | ჯარედ ჯეფრისი | ინდიანა | ფორვარდი |
| 12 კლიპერსი | მელვინ ელი | ფრესნო | ფორვარდი |
| 13 მილუოკი | მარკუს ჰეისლიპი | ტენესი | ფორვარდი |
| 14 ინდიანა | ფრედ ჯონსი | ორეგონი | უკანახაზელი |
| 15 ჰიუსტონი | ბოსტიან ნახბარი | ბენეტონი | ფორვარდი |
| 16 ფილადელფია | ირჯიველში (გაუცვალა გოლდენ სტეიტს) | ოლიმპია | უკანახაზელი |
| 17 ვაშინგტონი | ხუან დიქსონი | მერილენდი | უკანახაზელი |
| 18 ორლანდო | კურტის ბორჩარტი (გაუცვალა იუტას) | სტენფორდი | ცენტრი |
| 19 იუტა | რაიან ჰამპრი (გაუცვალა ორლანდოს) | ნოტრ დამი | ფორვარდი |
| 20 ტორონტო | ქარიმ რაში (გაუცვალა ლეიკერსს) | მისური | უკანახაზელი |
| 21 პორტლენდი | კინტელ ვუდსი | მისისიპი | ფორვარდი |
| 22 ფინიქსი | კეისი იაკობსენი | სტენფორდი | ფორვარდი |
| 23 მინესოტა | ჩამორთმეული აქვს არჩევანის უფლება | | |
| 24 დეტროიტი | ტაიშან პრინსი | კენტუკი | ფორვარდი |
| 25 ნიუ ჯერსი | ნენად კრსტიჩი | იუგოსლავია | ფორვარდი |
| 26 დენვერი | ფრენკ უილიამსი (გაუცვალა ნიუ იორკს) | ილინოისი | უკანახაზელი |
| 27 სან ანტონიო | ჯონ სალმონსი (გაუცვალა ფილადელფიას) | მაიამი | უკანახაზელი |
| 28 ლეიკერსი | კრის ჯეფერისი (გაუცვალა ტორონტოს) | ფრესნო | ფორვარდი |
| 29 საკრამენტო | დენ დიკაუ (გაუცვალა ატლანტას) | გონზაგა | უკანახაზელი |

nba draft 2002

**ნიკა** მეორე ქართველი ნბა-ელია ვლადიმერ სტეფანიას შემდეგ. სტეფანია 1998 წელს 27-ე ნომრად აიყვანა „სიეტლ სუპერსონიქსმა". ახლა კი ვოვას კვალდაკვალ მეორე ახმახი ქართველი გადასახლდება პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში.

საყურადღებოა ნიკას სადრაფტო ნომერი, ის მეხუთეა, რაც უდიდესი ნდობის გამოხატულებაა ამერიკელთა მხრიდან. ერთადერთი ევროპელი, ვინც დრაფტების ისტორიაში ცქიტიშვილზე ადრე აურჩევიათ, ესპანელი პაუ გასოლია. ეს ჯეელი შარშან მესამე ნომრად აირჩია „მემფისმა". სკაუტები, ნბა-ს კლუბების მწვრთნელები, ჟურნალისტები და სხვა კატეგორიების საკალათბურთო სპეციალისტები „ცქიტოს" გასოლს ადარებენ, ამბობენ, ქართველი ესპანელივით ბოლომდე ჩამოყალიბებული კალათბურთელი არაა, მაგრამ მასზე უკეთესი მონაცემები აქვსო. ნიკას ამრჩევმა „დენვერმა" ჩვენზე კარგად იცოდა, ვის ადებდა ხელს. ამ კლუბს ცქიტიშვილის დიდი იმედი აქვს და ქართველი თავდამსხმელის გარშემო აპირებს გუნდის თამაშისა და ტაქტიკის აწყობას.

ნიკა ცქიტიშვილმა თავის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა, მონაწილეობა მიიღო დრაფტში და აირჩიეს კიდეც. თუმც ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. „დენვერმა" თავისი არჩევანი ჩვენებურ ბიჭზე გააკეთა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ კლუბს აქვს ნიკასთან საქმის დაჭერის უფლება. როგორც წესი, „დენვერი" შეუშვებს ქართველს თავის საშხარეულოში, გუნდთან ერთად ავარჯიშებს და მისი შესაძლებლობების საფუძვლიანად შეფასების შემდეგ გადაწყვეტს, როდის გაუფორმოს კონტრაქტი. არაა გამორიცხული, კლუბმა ცქიტიშვილი ნბა-სთვის მოუმზადებლად მიიჩნიოს და ერთი ან რამდენიმე წლით ევროპაში სათამაშოდ გამოუშვას. ეს უარეს შემთხვევაში, ხოლო უკეთესში კლუბი შესთავაზებს მას სამ-ოთხ წლიან და რამდენიმემილიონიან კონტრაქტს მომავალი სეზონის დაწყებამდე. ისე, სავარაუდოდ, „დენვერი" არ გაფლანგავს ძვირფას დროს და შეეცდება, რაც შეიძლება მალე შეაჩვიოს გამხდარი ყმაწვილი ქართველი ნბა-ს ძალისმიერ თამაშს. ასე რომ, ცქიტიშვილს ბევრი აქვს დასამტკიცებელი და ბევრი დამღლელი ჯერ ვარჯიში, მერე კი თამაში ელის.

საერთოდ, ეს დრაფტი უცხოელთა სიმრავლით გამოირჩა. პირველ შვიდ რჩეულს შორის სამი უცხოელია — ცქიტიშვილი, დრაფტის პირველი ნომერი ჩინელი იაო მინგი, თუ მინგ იაო და ბრაზილიელი მეიბინერ „ნენე" ილარიო. მათ გარდა ნბა-ს კლუბებმა პირველ წრეში თვალი დაადგეს ჩეხ ირჟი ველშს, სლოვენიელ ნერად კრსტიჩს და ასევე სლოვენიელ ბოსტიან ნახბარს. ეს უკანასკნელი გახლდათ ცქიტიშვილის თანაგუნდელი „ბენეტონში". ნახბარი მინგის თანაგუნდელი იქნება „ჰიუსტონში".

ცქიტიშვილსაც ეყოლება არაამერიკელი თანაგუნდელი. ნენე ილარიო ქართველის მსგავსად, „დენვერის" მაისურას მოირგებს და ამ გუნდს დაეხმარება ხანგრძლივი კრიზისის დაძლევაში. ილარიო „დენვერში" ნიუ იორკის გავლით მოხვდა, არა იმიტომ, რომ დრაფტი ამ ქალაქში ტარდებოდა. „ნიუ იორკ ნიქსი" ფლობდა მეშვიდე არჩევანს, რომელიც „დენვერს" გაუცვალა ანტონიო მაკდაიესზე. „ნაგიტსმა" დრაფტის 25-ე არჩევან ფრენკ უილიამსზე და თან ხურდად მიაყოლა სახელოვანი ვეტერანები, „ნიქსის" სასტარტო ხუთეულის წევრები — მარკუს კემბი და მარკ ჯეკსონი. დრაფტის ყველაზე ხმაურიანი გაცვლაც ეს იყო. მაკდაიესი 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონია და ბოლო წლებში „დენვერის" ლიდერიც გახლდათ. როგორც ჩანს, მაკდაიესის შესაძლებლობები „დენვერის" ბოსებმა ამოწურულად ჩათვალეს და გუნდის გაახალგაზრდავება გადაწყვიტეს.

ილარიოც, ცქიტიშვილის დარად, 19 წლისაა და 211 სანტიმეტრს „ითვლის". ჩვენებურთან ერთად იგი „დენვერის" მომავლის საყრდენია.

რაც შეეხება დრაფტის პირველ ნომერ იაო მინგს, მას რომ „ჰიუსტონი" დაეპატრონებოდა, მაშინ გაცხადდა, როცა ამ კლუბმა პირველი არჩევანის უფლება მიიღო, პირველად 1984 წლის შემდეგ. მაშინ „ჰიუსტონმა" ასევე უცხოელი ცენტრი, ნიგერიელი ჰაკიმ ოლაჯუონი აიყვანა, რომელმაც კლუბს ორი ჩემპიონობა მოუტანა. ახლა ჯერი ჩინელ ჟირაფზეა და 226-სანტიმეტრიან იაოს იქ, ჰიუსტონში მომავალი დიდების საწინდრად სახავენ.

ჩინელი პირადად არ დასწრებია დრაფტს. ჯერაც კომუნისტური ჩინეთის კალათბურთის ფედერაციამ რაღაც შარი მოსდო და დროებით ქვეყანაში დატოვა, თუმც ამან ვერაფერი შეცვალა. „მედისონ სკვერ გარდენსა" და პეკინს შორის ათასობით კილომეტრი ვიდეოხიდმა გააქრო და როდესაც „ჰიუსტონმა" გამოაცხადა, იაო მინგს ვირჩევო, ეკრანზე პეკინში მომლოდინე მინგი და მისი მშობლები ერთმანეთს ჩაეხვივნენ.

საერთოდ დრაფტმა უჩვეულოდ წყნარად და განსაკუთრებული მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. ძირითადი პროგნოზები გამართლდა და, თუ არ ჩავთვლით ილარიოს მაკდაიესში გაცვლას, დარბაზში შეკრებილ 20 ათას კაცს აჟიოტაჟის საბაბი არ მისცემია. „ჩიკაგომ" აიყვანა მოდრაფტე, ნასტუდენტარ მოთამაშეთაგან საუკეთესო — ჯეი უილიამსი. „გოლდენ სტეიტს" შეხვდა უილიამსის დიუკის უნივერსიტეტელი თანაგუნდელი მაიკ დანლივი, „მემფისის" პრეზიდენტი ჯერი ვესტი სიტყვის კაცი აღმოჩნდა და დრიუ გუდენს დაადო ხელი, „დენვერმა" კი, მოგეხსენებათ, ცქიტიშვილი დაისაკუთრა.

ამ ხუთეულის არჩევის ანუ მთავარი „საქონლის" გასაღების შემდეგ რამდენიმე წვრილმანი და ერთი დიდრონი გაცვლა შედგა. სხვა კი, ბევრი უცხოელი შეირჩა. ზოგსაც, მაგალითად, ბერძენ პაპადოპულოსს, იმედები გაუცრუვდა და ყველას თვალთახედვის მიღმა დარჩა. დრაფტზე სულ 15 არაამერიკელი შეირჩა, ექვსი პირველ და ცხრაც მეორე წრეში.

ნიკა ცქიტიშვილს „დენვერში" ილარიოსთან ერთად კიდევ ერთი ახალბედა თანაგუნდელი ეყოლება, მეორე წრეში 33-ე ნომრად „დენვერმა" აირჩია ტენესის უნივერსიტეტელი ფორვარდი ვინსენტ იარბრო.

**ირაკლი ფირცხალავა**



REUTERS პეკინიდან

დრაფტის პირველ ნომერ იაო მინგს ჯერაც დასტრიალებს ჩინელი ხალხის დიადი მესაჭის მაო ძე-დუნის აჩრდილი

ახლოს გავიცნოთ გუნდი, რომელშიც თავისი ნბა-ური კარიერის პირველი წლები უნდა გაატაროს 19 წლის ქართველმა ნიკა ცქიტიშვილმა

# დენვერი ოქროს ზოდებს აგროვებს



ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი — უთხრეს ამერიკელებმა ნიკა ცქიტიშვილს

AP ნიუ იორკიდან

**„ДЕНВЕР НАГИТСИ"** საკმაოდ ასაკოვანი გუნდია. დაარსდა 1967 წელს ნბა-ს კონკურენტ ლიგა აბა-სთან ერთად და 1976 წელს, აბა-ს დაშლის შემდეგ, სამ გუნდთან ერთად ნბა-ში გაწევრიანდა.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში „ნაგიტსს", რაც ოქროს ზოდებს ნიშნავს, განსაკუთრებული მწვერვალებისთვის არ მიუღწევია. 80-იან წლებში კარგა ხანს ითვლებოდა ზესაშუალო გუნდად და პლეი ოფში ზოგჯერ იგებდა სერიებს, ნბა-ს ფინალამდე კი არასდროს მიუღწევია.

ამჟამად „დენვერი" სუსტ გუნდად ითვლება. პლეი ოფში 1995 წლის შემდეგ არ უთამაშია, და, ალბათ, კიდევ რამდენიმე წელიწადს ვერ ითამაშებს, თუ კლუბის ხელმძღვანელობამ მოულოდნელად ვინმე სუპერვარსკვლავი არ ჩაიგდო ხელში, ანაც 19 წლის უცხოელმა ახალბედებმა პირველივე წლებში სასწაულები არ აკეთეს.

„დენვერს" წარმატებისკენ სვლის გრძელვადიანი პროგრამა აქვს, რასაც, სპეციალისტთა თქმით, ადასტურებს არც-თუ ახლო მომავალზე გათვლილი სადრაფტო არჩევნები. გუნდი შეელია ბოლო წლების საუკეთესო მოთამაშეს, ოლიმპიურ ჩემპიონ ანტონიო მაკდაიესს, რათა ცქიტიშვილს და ილარიოს მეტი ყურადღება მიაქციოს და წლების შემდეგ, როდესაც ეს წყვილი ნბა-ს და იქ მობატონე ძალისმიერ თამაშს გაუშინაურდება, ამათ გარშემო შეიკრას. სადღეისოდ „ნაგიტსს" შერჩენია ერთადერთი ხეირიანი მოთამაშე, ფრთა და, შეიძლება ითქვას, ცქიტიშვილის კონკურენტი ჯულ ჰოვარდი. რამდენიმე დღის წინ კლუბმა გაუშვა ყოფილი ვარსკვლავი, აწ კი მობერებული გამთამაშებელი ტიმ ჰარდევეი. ნბა-ში ცნობილი სახელებია მაკდაიესის ნაცვლად ნიუ იორკიდან ილარიოს გამოყოლილი მარკუს კემბი და მარკ ჯეკსონი, თუმცა ნაკლებსავარაუდოა, „დენვერი" მათ დაეყრდნოს, რადგან კემბი ხშირად ტრავმიანობს, ხოლო ჯეკსონის მატარებლმა კარგა ხანია, ჩაიარა. ამ 37 წლის მრავალნაცად და ჭკვიან გამთამაშებელს კლუბი, ალბათ, მასწავლებლად მიუჩენს ცქიტიშვილსა და ილარიოს.

ამ რამდენიმე თვის წინ, შუა სეზონში, „დენვერი" ხმაურიან სკანდალში გაეხვა. მორიგი წაგების შემდეგ, „ნაგიტსი" კი ხშირად აგებდა, ქალაქ დენვერის და საერთოდ ქვეყნის ესპანურ-მექსიკური წარმოშობის აქტივისტმა მოქალაქეებმა გუნდის მწვრთნელ დან აისელს რასიზმში და ტრიბუნაზე მყოფი გულშემატკივრის გინებაში დასდეს ბრალი და საქმე წასასვლელად გახდეს. აისელს გამოექომაგა კლუბის გენერალური მენეჯერი, აისელივით ძირძველი დენვერელი კიკი ვანდევეიჯი, შველით კი ვერ უშველა და ლამის მანაც წააგო თავი. ვანდევეიჯი დღემდე წარმართავს კლუბის საქმეებს და ცქიტიშვილის აყვანის მოთავეც ის გახლავთ. სადღეისოდ „ნაგიტსს" არა ჰყავს მწვრთნელი.

სხვა მხრივ დენვერი ზომიერად დიდი ქალაქია, დაახლოებით სამი მილიონი მოსახლით და წარმოადგენს არა მარტო შტატ კოლორადოს, არამედ მთიანი შტატების ფაქტობრივ ცენტრს. კლდოვანი მთებით შემოჯარულ ქალაქში მოხვედრით ნიკა ცქიტიშვილიც კმაყოფილი ჩანს.

**ირაკლი ფირცხალავა**

## დრაფტისშემდგომი კომენტარი

**კიკი ვანდევეიჯი, ნაგიტსის გენერალური მენეჯერი:** კმაყოფილი ვარ დრაფტით, მართალია, გავუშვით ანტონიო მაკდაიესი, მაგრამ სანაცვლოდ ორი 211-სანტიმეტრიანი მეფარე მივიღეთ, ნენე ილარიო და მარკუს კემბი. ილარიო კარგი დამცველია და მომავალში გუნდში ერთ-ერთი წამყვან ადგილს დაიჭერს. შესანიშნავი ცენტრია კემბი და მისი დიდი იმედი გვაქვს.

განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ ცქიტიშვილის აყვანით. ვფიქრობ, რამდენიმე წელიწადში იგი გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდება. მას იშვიათი მონაცემები აქვს. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცით, როდესაც ცდუნებას ვძლიეთ, მეხუთე ნომრად ის ავიყვანეთ და არა მზა, მაგრამ გაცილებით შეზღუდული პოტენციის სტუდენტი კალათბურთელები.

**ნიკოლოზ ცქიტიშვილი:** მოხარული ვარ, რომ „დენვერმა" ამირჩია. გამიგია, რომ ესაა ლამაზი ქალაქი, მთებში სუფთა ჰაერია. არ ვიცი, ვინაა ჩემი მწვრთნელი, მაგრამ მომწონს კიკი, ის კარგი პიროვნებაა. არ მინდა, ჩემს თამაშზე ბევრი ვილაპარაკო, მაგრამ ვფიქრობ, მოედანზე ბევრი რამის კეთება შემიძლია. როგორც ვიცი, ამერიკულ კალათბურთში, ევროპულთან შედარებით მეტი ყურადღება ექცევა ერთი-ერთზე დაცვას და ძალისმიერ თამაშს. ამ მხრივ ბევრი მაქვს დასახვეწი. მინდა, რაც შეიძლება ჩქარა ჩავიდე დენვერში, ვნახო ქალაქი და იქაური ხალხი.

და კიდევ, მე არ ვყოფილვარ ბალეტის მოცეკვავე. ჩემს ქვეყანაში ბალეტს გოგონები ცეკვავენ, ეროვნულ ცეკვებზე დავდიოდი და არა ბალეტზე, როგორც აქაურ პრესაში წერენ. ცეკვა დამეხმარა, გავმხდარიყავი სწრაფი და ელასტიური.

**ნენე ილარიო:** ვფიქრობ, დაცვის მხრივ მზად ვარ ნბა-ში სათამაშოდ. დასახვეწი მაქვს შეტევაში თამაში. გუნდში ყველასთან მეგობრობას ვაპირებ. მოედანზე ვიბრძოლებ, როგორც შემეძლება.

# ზაზა ფაჩულიას მცირე ამერიკული დღიური და დიდი იმედი

*ნიკა ცქიტიშვილი გუშინდელ დრაფტზე „დენვერმა" მე-5 ნომრად აირჩია. თუმც შესაძლებელი იყო, კიდევ ერთი ქართველი გამხდარიყო ნბა-ს კლუბის საკუთრება. ზაზა ფაჩულიას დრაფტში მონაწილეობა რომ გადაეწყვიტა, დღეს ალბათ თბილისში არ იქნებოდა და მასთან ვერც „სარბიელის" რედაქციაში ვისაუბრებდით. მაგრამ ვარჯიშ-ვარჯიშ ამერიკაშემოვლილმა და ლეგენდადქცეულ ხალხს გადაყრილმა ამჯერად ასე არჩია.*

### ქალაქიდან ქალაქში

სულ რვა თუ ცხრა გუნდთან ვივარჯიშე, თავიდან კი „ინდიანათი" დავიწყე. თითო ქალაქში თითო დღე ვჩერდებოდი. ძალიან დატვირთული გრაფიკი მქონდა, ქალაქიდან ქალაქში, სასტუმროდან სასტუმროში მიწევდა სიარული. დილით საუზმე, შემდეგ ვარჯიში, მერე კი აეროპორტი. მარტო ვმგზავრობდი და ყოველ ქალაქში გუნდის წარმომადგენელი მხვდებოდა. ზოგან სამი, ზოგანაც ოთხი დრაფტის კანდიდატი ვიკრიბებოდით. „ლეიკერსთან" ვარჯიშისას კი მხოლოდ ორნი ვიყავით. მწვრთნელები იოლ დავალებებს გვაძლევდნენ, ხანდახან, თუ რამეს არასწორად გავაკეთებდით, გვითითებდნენ, ასე და ასე უნდაო. ვარჯიშის შემდეგ ბევრს არ გვესაუბრებოდნენ. ერთი-ორი კითხვა-პასუხი და მომდევნო ქალაქის ჯერი დგებოდა. მგზავრობის, სასტუმროსა და კვების ფულს ის გუნდი იხდიდა, რომელსაც ვეწვეოდით.

### გადაწყვეტილება

ორ ვარჯიშზე ჩემი მენეჯერი მარკ ფლეიშერი დამესწრო. თუ რას ფიქრობდნენ ჩემზე ამერიკელი მწვრთნელები, ფლეიშერი მეუბნებოდა. თურმე ცუდ შთაბეჭდილებას არ ვტოვებდი, ზოგიერთი სპეციალისტი თუ ჟურნალისტიც მაქებდა, მაგრამ, ჩანს, ისინი ჩემმა ასაკმა არ დააკმაყოფილა. როგორც შევიტყვე გუნდი, რომელიც დრაფტზე ამირჩევდა, დიდი შანსი იყო, ევროპულ კლუბში გამიშვებდა. თან, როგორც ფლეიშერმა მითხრა, სავარაუდოდ 25-დან 33-მდე არჩევანის მქონე გუნდი ამიყვანდა. მეც გადავწყვიტე დრაფტზე უარის თქმა და მენეჯერმაც იგივე მირჩია. 19 ივნისს, როცა ყოველ კალათბურთელს უნდა გადაეწყვიტა, მიიღებდა თუ არა დრაფტში მონაწილეობას, უარი განვაცხადე და საქართველოში დავბრუნდი.

### გამოჩნდება, რა ბიჭები არიან

იმ ხალხიდან, რომლებიც დრაფტზე აირჩიეს, შვიდთან მომიწია ვარჯიშმა. მათი უმრავლესობა ცენტრია და ყველანი მეორე რაუნდიდან აიყვანეს. თავს არ ვიქებ, მაგრამ ყველა მათგანს ვაჯობე, განსაკუთრებით „პორტლენდის" მიერ 43-ე ნომრად არჩეულ ჯეისონ ჯენინგსს. ამ გუნდის ვარჯიშზე მასთან ერთიერთზე მომიწია ცალ ფარში თამაში და იოლად მოვუგე. იგივეს ვიტყვი „ატლანტას" 37-ედ აყვანილ დევიდ ანდერსონზე. არ ვიცი, ვნახავ, თუ ამ კალათბურთელებს წლეულს რამე გამოუვიდათ ნბა-ში, მაშინ ვიტყვი, დრაფტზე უარი რომ ვთქვი, შევცდი-მეთქი.

### ფილ ჯექსონი და ფორმიანი შაკილ ონილი საშხაპეში

ლოს ანჯელესში ბევრ ცნობილ ადამიანს შევხვდი. „ლეიკერსთან" ვარჯიშისას ფილ ჯექსონთან მომიხდა ურთიერთობა. იგი ჯერ დარბაზის თავზე მდებარე ოთახიდან გვადევნებდა თვალს, შემდეგ ტრიბუნებზე ჩამოვიდა, მერე კი მოედანზეც შემოვიდა.

ერთი-ორი შესწორება მომცა, ასე უნდა ესროლოო და ილეთი შეასრულა. მაგრამ რაც შემდეგ მოხდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ვარჯიშის შემდეგ წყალს ვივლებდი და საშხაპეში ერთი პოლიციელის ფორმიანი ვეებერთელა შავი კაცი შემოვარდა. იარაღასხმული „ქსივას" მიშლის და მეუბნება: ლოს ანჯელესის პოლიცია, თქვენ დაპატიმრებული ხართ — ბოლოს კი ეღიმება. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, მერელა ვიცანი შაკილ ონილი. ვიხუმრე, ხომ არ შეგეშინდაო. არ დავბნეულვარ, მეც ხუმრობითვე ვუპასუხე, აქ შენს შემცვლელად ჩამომიყვანეს-მეთქი. მერე გამომკითხა, საიდან ვიყავი. საქართველოზე სმენოდა. გავიგე, სადრაფტო ხალხმა ივარჯიშა და სანახავად შემოვედიო. მერელა მითხრეს, თურმე პოლიციაში ყოფილა გაფორმებული და თავისუფალ დროს ასე ერთობა ხოლმე.

### აიზია ტომასი და მშიერი ქვეითად მოსიარულე

„ინდიანასთან" ვარჯიშის შემდეგ მთავარი მწვრთნელი აიზია ტომასი გამომელაპარაკა. მეკითხებოდა, სად ვთამაშობდი, საიდან ვიყავი და ამგვარებს. სამი-ოთხი წუთი ვისაუბრეთ და მერე მეუბნება, ინგლისური თუ იციო. ვუპასუხე, ეს თქვენ უნდა შეაფასოთ-მეთქი...

13 ივნისს დღესასწაული იყო, მამების დღეს აღნიშნავდნენ და ყველა მაღაზია ადრე დაიკეტა. ისე მოხდა, რომ სასტუმროში ჭამა ვერ მოვახერხე და სავახშმოდ ქუჩაში გავედი. ყველაფერი დაკეტილი იყო. ერთი მაღაზია მიმასწავლეს, ოღონდ მითხრეს, იქ მხოლოდ მანქანით მისულებთან ვაჭრობენო. კი გამიკვირდა, მაგრამ მაინც წავედი, ასეთი რა უნდა იყოს, ფეხით მისულს საჭმელი არ მომყიდონ-მეთქი. მივედი და ზედ მაღაზიის ფანჯარასთან მანქანა დამხვდა. როცა წავიდა, გამყიდველ ქალთან მივედი, მაგრამ უმანქანოდ რომ მნახა, ფეხით მოსიარულეებზე არ ვყიდითო, მითხრა.

გამოველაპარაკე, ავუხსენი ჩემი მდგომარეობა, ერთი დღით ვარ ამ ქალაქში და მშიერს ნუ დამტოვებ-მეთქი. როგორც იქნა, დამიჯერა და მომყიდა. მექსიკელი იყო და, ალბათ, ამიტომაც დავიყოლიე.

### დროებით, ამერიკავ!

ამერიკიდან იმ განზრახვით წამოვედი, რომ გაისად აუცილებლად ჩავალ. ამისთვის წლოვანებაც შემიწყობს ხელს და დროც. არაფერს ვკარგავ, ერთ წელს კვლავ ევროპაში ვითამაშებ და დრაფტიც მერე იყოს. ისე, კარგი იყო, იქ ყოფნით უდიდესი გამოცდილება მივიღე. არ მინდოდა, მეორე რაუნდში არჩეულის უიღბლო სეზონი მქონოდა. ერთ წელსაც მოვიცდი, ცოდნას დავაგროვებ და ამერიკაში მერე ჩავალ.



ზაზა ფაჩულიასთვის დრაფტის ჯერი გაისად დადგება

# ტექნიკის დემონსტრაცია
## კრამნიკმა და ანანდმა კომპიუტერი დაიმეგობრეს




კრამნიკი, ანანდი, კომპიუტერები...



**„განვითარებული** (თუ გაფართოებული) ჭადრაკის“ კონცეფცია ძალას იკრებს. ჯერ კიდევ შარშან ვიშვანათან ანანდმა უკეთ ითამაშა 6 პარტიისგან შემდგარი მატჩი, რომელშიც მხარეები რჩევას საჭადრაკო პროგრამას ეკითხებოდნენ და მერე იღებდნენ გადაწყვეტილებას. ამგვარი მიდგომა უხეში შეცდომის ალბათობას თითქმის ნულამდე ამცირებს, პარტიების ხარისხიც მატულობს.

წლეულს „განვითარებული ჭადრაკის“ თამაში ერთი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმაც ისურვა, რომელსაც ოქტომბერში კომპიუტერი მეგობრობას კი არა, მტრობას გაუწევს. ბაჰრეინში კრამნიკი და პროგრამა „დიპ ფრიცი“ ითამაშებენ, კომპანია „აინშტაინ გრუპი“ (ვინც კრამნიკის კონტრაქტის მფლობელია) და ბაჰრეინის კულტურის სამინისტრო ამაზე უკვე შეთანხმდნენ.

მოკლედ, 21-25 ივნისს ესპანურ ლეონში, სადაც ჭადრაკის თამაშის ტრადიცია გვარიან სიმაღლეზეა, კრამნიკმა და ანანდმა „განვითარებული ჭადრაკის“ მატჩი ითამაშეს. როცა შეცდომა ნაკლებია, ყაიმების რიცხვი იმატებს და ლეონშიც 6-დან 5 პარტიაში ზავი გაფორმდა. პირველი დღის ორივე პარტიაში დაფაზე ლაზიერის გამბიტი დომინირებდა და მხარეებმა ერთმანეთს ვერაფერი მოუხერხეს, პარტიათა ბოლო დღის წყვილშიც ჯერ კრამნიკმა კვლავ ლაზიერის გამბიტში ინდუსის რედუტებს ვერაფერი დააკლო და ანანდმაც ამაოდ სცადა რუსის საყვარელი „ბერლინის კედლის“ დარღვევა. ქულიანი პარტია გათამაშდა მხოლოდ მატჩის მეორე დღეს (ორიდან ერთი), რომელშიც დაფაზე ისევ და ისევ ლაზიერის გამბიტის თეორიაში ალნუსხული სვლები კეთდებოდა და თავიდანვე რთული პოზიციის ლერძად იქცა კრამნიკის ეული თეთრი პაიკი, რომელსაც ლაზიერად გარდაქმნა ჰქონდა უზურში. მას ემსახურებოდა თეთრების მძიმე არტილერია, რომელმაც მთელი გზა გამოუთოფა, მისი სიკეთისთვის დაილუპნენ ზედიზედ მსუბუქი თეთრებიც და ანანდი ამაოდ ბლოკავდა მე-8 ჰორიზონტალისკენ მიმავალ ვერტიკალს (თავისი პაიკიც გაწირა): ეტლების ენდშპილში ცხადი გახდა, რომ შავებს კაპიტულაცია მართებდათ (დაფა იხილეთ) და მატჩის შედეგიც მთლად საყაიმო არ გამოვიდა, კრამნიკმა 3,5-2,5 მოიგო.

**დავით გულუა**



# ლეონსიომ ბიჭები მოაწყო



მალხაზ ურჯუკაშვილი

გაჩო კოპალიანის ფოტოები



თედო ზიბზიბაძე

**საქართველოს** ნაკრების უკანახაზელებმა — მალხაზ ურჯუკაშვილმა და თედო ზიბზიბაძემ ფრანგული „მაზამე“ დატოვეს. მომავალ სეზონს ისინი „ფედერალ I“-ის „ტურში“ გაატარებენ. ახალ კლუბთან ბორჯღალოსნებმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. „ტური“ საფრანგეთის ჩემპიონატის მესამელიგელია, მაგრამ ქვედალიგელებიდან ერთადერთი პროფესიული კლუბია და სამომავლოდ დიდი გეგმებიც აქვს.

ჩვენებურთა „მაზამედან“ წასვლის მიზეზი ის იყო, რომ კლუბი კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს არ ასრულებდა. მანამდე ეს გუნდი კიდევ ერთმა ბორჯღალოსანმა დავით ბოლღაშვილმაც დატოვა, რომელიც ჯერჯერობით უგუნდოდაა. ურჯუკაშვილის და ზიბზიბაძის ტრანსფერი ნაკრების კაპიტან ლევან ცაბაძის დამსახურებაა. თავისი აგენტის მეშვეობით სწორედ „ლეონსიომ“ დააკავშირა ბორჯღალოსნები „ტურთან“ და ტრანსფერიც შედგა.

**გაჩო სვანიძე**


# რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე დანაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან

## უიმბლდონი 2002

# ლაბაძის ჭიქა ნახევრად ცარიელია



პარადორნ სრიჩაპანი ანდრე აგასის დამარცხებას თავის ღმერთს უმადლის

### საშობაო საჩუქარი

ირაკლი ლაბაძის წლევანდელი საუიმბლდონო ოდისეა გუშინ შუადღით „ოლ ინგლენდ კლაბის“ რიგით უკანასკნელ, მეცხრამეტე კორტზე — ჩვენთვის სასურველზე გაცილებით ადრე დასრულდა — პოლიგლოტ შვეიცარიელ მიხელ კრატოხვილთან შეხვედრაში ახალგაზრდა თბილისელმა ცალკერძ ფეხის ტრავმისა და ცალკერძ მეტად უდროო, იოლი შეცდომების გამო მესამე წრეში გასვლის შესანიშნავი შანსი გაუშვა ხელიდან.

ირაკლის პირველი მატჩის არ იყოს, მეტროს უხეირო მუშაობისა და უიმბლდონის მისადგომებთან მანქანების გიგანტური საცობის „წყალობით“ შეხვედრის დასაწყისს ამჯერადაც ვერ მივუსწარი. კარიბჭესთან ჩანთების გასაჩხრეკად მოდარაჯე მცველებს ჩემი [illegible]ლა-დიდება ლამის ხელიდან გამოვგ[illegible]ოჯე. სირბილით ავიარე პირველი კორტის გვერდითა კიბეები და ჟურნალისტების რესტორნის დაბლა მდებარე მომცრო, მყუდრო კორტის ტრიბუნაზე ცრურწმენის გამო ზუსტად ისეთივე ადგილზე მოვკალათდი, საიდანაც ირაკლის იუნეს ელ აინაუისთან გამარჯვებას ვუცქერე.

ისე, ოღნავ გვინაც რომ დამეკავებინა ჩემი ადგილი, ბევრი არაფერი დაშავდებოდა — საკუთარი მოწოდების [illegible]ჯერ დათმობის შემდეგ ლაბაძემ მეორე ხელში ბრძოლას თავი ანება, მეტოქეს ანგარიშის გათანაბრებაში ხელი არაფრით შეუშალა და სეტი სულაც მშრალზე დათმო.

თუ მეორე სეტში ცუდად მხოლოდ ჩვენებური ირჯებოდა, მესამეში ჩოგბურთელებმა პირი შეკრეს და უნებლიე შეცდომების რაოდენობაში გაჯიბრება გადაწყვიტეს. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ერთ უხეირო დარტყმას მეორე მოსდევდა, ბურთები წარამარა ბადეში, აუტსა და მეზობელი კორტებისკენ მიფრინავდა. 4:4-ზე ქართველმა საკუთარი მოწოდება დათმო, მაგრამ კრატოხვილმა ვალი მაშინვე დაუბრუნა და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა.

გადამწყვეტ გეიმში ირაკლი თავიდან 3:0 დაწინაურდა, თუმცა მომდევნო ორ გათამაშებაში საკუთარი ხელით გამოიჭრა ყელი. თბილისელმა ჯერ ორმაგი შეცდომა დაუშვა, მერე კი იოლად მოსაკლავი ბურთისკენ მეტისმეტად სწრაფად გაიქცა, მთელი ძალით დარტყმის შემდეგ შეჩერება ველარ მოახერხა და ფეხით ბადეს გაეკარა. შედეგად ლაბაძის მოგებული გათამაშება შვეიცარიელს დაეწერა ანგარიშზე, დაბოღმილმა ირაკლიმ კი მსაჯს ირონიულად ტაში დაუკრა (ბადეს მხოლოდ მერე შევეხე, ბურთი კორტზე ორჯერ რომ დავარდაო) და ტაიბრეიკზე ამის შემდეგ ერთადერთი ქულა მიითვალა.

როდესაც მეოთხე სეტის დასაწყისში 21 წლის თბილისელმა კორტზე ექიმს უხმო და მარჯვენა ფეხზე სახვევი გადაიჭირა, სიტუაცია ოპტიმიზმის საფუძველს ცოტა ნაკლებად იძლეოდა, მეც ადგილი ვიცვალე და ტრიბუნების საწინააღმდეგო მხარეზე ირაკლის მოქომაგე, ალექსანდრე მეტრეველის გვერდით მოვკალათდი.

„დღეს ირაკლი მეტისმეტად პასიურად თამაშობს, ბადესთანაც თითქმის არ გადის, ასე მეტოქის შეცდომების იმედზე ყოფნა კარგს არაფერს მოიტანს — 1973 წლის უიმბლდონის ფინალისტის სიტყვები, სამწუხაროდ, წინასწარმეტყველური გამოდგა — წლეულს ცოტა ხანი ერთად ვიმუშავეთ, მე ყოველთვის მზად ვარ, დავეხმარო. ყველაფერი თავად მასზეა დამოკიდებული, თუ ძალიან მოინდომებს, საუკეთესოთა ოცეულშიც შეუძლია მოხვედრა, ოღონდ ამისთვის თავის სისუსტეებზე, მაგალითად, მეორე მოწოდებაზე უნდა იმუშავოს“.

სქლად გადახვეულ ბარძაყს ლაბაძისთვის ხელი არ შეუშლია, მეოთხე სეტშიც დაწინაურებულიყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში აქაც ნერვებმა უმტყუნა და ჯერ 5:4-ზე საკუთარი მოწოდება დაკარგა, მერე კი ტაი-ბრეიკზე 5:3 უპირატესობაც გაანიავა: 3:6, 6:0, 7:6 (7:4), 7:6 (7:5) კრატოხვილის სასარგებლოდ.

ჩეხეთში დაბადებულ და გაზრდილ შვეიცარიელს თარჯიმნადაც მშვენივრად შეეძლება მუშაობა — პრესკონფერენციაზე ჩემი ინგლისური კითხვების გარდა თანამემამულე ჟურნალისტებს მან არანაკლებ გამართული ფრანგულითა და გერმანულითაც უპასუხა: „უცნაური შეხვედრა იყო. მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე ორმაგი და ბადეს შეხება ნამდვილი საშობაო საჩუქარი იყო ჩემთვის... ვიცოდი, რომ ლაბაძე ძალიან საშიში ჩოგბურთელია, მაგრამ ხანდახან არევა იცის, ამიტომ თავად სტაბილურად თამაშს ვგეგმავდი, რაც, ნახეთ, ნამდვილად არ გამომივიდა. მთავარი ის იყო, რომ გადამწყვეტ მომენტებში უკეთ გავისარჯე, უფრო მშვიდი ვიყავი... ჩვენ ახლო მეგობრები არ ვართ, მაგრამ მას კარგ ოხუნჯად ვიცნობ. დიდი პოტენციალი აქვს, მომავალში უკეთესი შედეგები ექნება“.

ასეთი დასანანი მარცხის კვალობაზე ირაკლი არც ისე დამწუხრებულად გამოიყურებოდა.

— ფეხი პირველად მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე ამტკივდა. თავიდან ძალიან არ მიშლიდა ხელს, მაგრამ მერე ექიმის გარეშე თამაშის გაგრძელებას ველარ მოვახერხებდი. მგონი, კუნთი დავიჭიმე, მითხრეს, რომ ხუთი დღე ვარჯიში არ შემეძლება.

**— ალექსანდრე მეტრეველი მატჩის დროს ხშირად გსაყვედურობდა და გირჩევდა, რომ უფრო აგრესიულად გეთამაშა...**

— თავიდან ვცადე, მაგრამ ის ძალიან კარგი მიღების პატრონია. როცა შევატყვე, რომ ბადესთან გასვლისას ქულების ნახევარსაც ვერ ვიგებდი, უკან დარჩენა ვარჩიე. არადა, ასე ბალახზე თამაში არ მიყვარს.

**— წლევანდელ უიმბლდონის შედეგებით შენთვის ჭიქა ნახევრად სავსეა თუ ნახევრად ცარიელი?**

— პირველ წრეში აინაუის დამარცხება, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, მაგრამ კმაყოფილი მაინც ვერ ვიქნები, რადგან ამ მატჩის მოგებაც უეჭველად შემეძლო. ერთი-ორი შეცდომა, ან ის ბადე რომ არა, ყველაფერი სულ სხვაგვარად შეიძლებოდა დასრულებულიყო. დასანანია, მაგრამ ახლა აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლება.

**— როგორ ფიქრობ, მომდევნო ნაბიჯის გადადგმასა და ჩოგბურთელთა ელიტაში შესვლაში რა გიშლის ხელს?**

— ATP-ის ტურნირებზე თამაშის შერჩევა ცოტა ძნელია. ჩელენჯერებისგან განსხვავებით, აქ პირველივე წრეში აგასის, ან რომელიმე სხვა ძლიერ ჩოგბურთელს შეიძლება შეხვდე. ალბათ, ჯერ გამოცდილება არ მყოფნის, თუმცა მე თუ ამაზე დავიწუწუნებ, მაშინ სხვა ქართველმა მოთამაშეებმა რა უნდა თქვან.

**— დაბოლოს, წლეულს შენი მთავარი ამოცანა და უახლოესი გეგმები რა არის?**

— თბილისიდან შვედეთის ბაშტადის პირველობაზე გავემგზავრები, სადაც, წესით, ძირითად ბადეში ავტომატურად უნდა მოვხვდე. ამოცანებს რაც შეეხება, სეზონის ბოლოს საუკეთესოთა ორმოცდაათეულში მოხვედრა მინდა. კარგი იქნება, თუ მალე მწვრთნელსაც გამოვძებნი.

### ჩაშლილი შვებულება

გუშინდელ მატჩის შემდეგ ოთხშაბათის საღამოს მოვლენებს მივუბრუნდეთ. სწორედ მაშინ, როდესაც „ოლ ინგლენდ კლაბის“ ორგანიზატორები ფიქრობდნენ, რომ პიტ სამპრასისა და მარატ საფინის წაგების შემდეგ უარესი აღარაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო, სცენაზე 23 წლის ტაილანდელი პარადორნ სრიჩაპანი გამოჩნდა და ტიმ ჰენმანის შემდეგ მაყურებელთა მთავარ ფავორიტ ანდრე აგასის ტრანსატლანტიური გადაფრენა მოსალოდნელზე 10 დღით ადრე გაუხადა საზრუნავად.

ევროპელთათვის ენისსამტვრევი გვარსახელის გარდა სრიჩაპანს მკვლელი ბექჰენდ-ფორჰენდი, რისკიანი თამაშის სიყვარული და რკინის ნერვებიც აღმოაჩნდა. აზიელი ხშირად კატა-თაგვობანას ეთამაშებოდა თავზოტორა ანდრეს, რამდენჯერმე ბურთს ნელი, მოჭრილი დარტყმით მოაბრუნებდა უკან, მეტოქის ყურადღებას მოადუნებდა და მოულოდნელად ტყვიასავით დარტყმას ხანჯალივით გაურევდა.

სასოწარკვეთილი გამომეტყველების მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მარცხს უკვე მესამე ხელის დასაწყისში შეურიგდა, ტაილანდელმაც ფოტოაპარატის განუწყვეტლივ მოჩხაკუნე მამის თვალწინ აუღელვებლად მიიყვანა შეხვედრა გამარჯვებამდე 6:4, 7:6 (7:5), 6:2, ხელები ბუდისტი მლოცველის მსგავსად სახის წინ შეატყუპა და ცენტრალური კორტის ოთხივე მხარეს თავი დაუკრა.

„10 წლის წინანდელთან შედარებით დღესდღეობით ჩოგბურთელები უფრო ძლიერები, სწრაფები და ტანმაღლები არიან. ბურთს ყველა ტყვიასავით ურტყამს, შანსების გამოყენებაზეც ნაკლებს ნერვიულობენ, საკმარისია, ცოტა მოუშვა, რომ ამას არავინ გაპატიებს — თავი იმართლა ამერიკელმა — ჯერაც გაოგნებული ვარ, შინ მივბრუნდები, მაგრამ რა ვაკეთო, არ ვიცი, მომდევნო ორ კვირის გეგმებში უიმბლდონის გარდა არაფერი მქონდა“.

აგასისგან განსხვავებით, 1996 წლის უიმბლდონის ჩემპიონ რიჩარდ კრაიჩეკს უახლოესი დღეების გრაფიკი დიახაც რომ წინასწარ ჰქონდა გათვლილი, თუმცა, თავისდა გასაკვირად და გასახარად, აგასის მსგავსად გვარიანად შეცდა: „სწორედ ამ დროისთვის მალიორკაზე დასვენებას ვგეგმავდი რამდენიმე კვირით, იქ სავარჯიშოდ ველოსიპედებიც კი გავაგზავნე უკვე. ვიფიქრე, თუ ძალიან, ძალიან გამიმართლა, მესამე წრეში რომელიმე დიდ კორტზე ანდრეს შევხვდები, სწრაფადვე წირვას გამომიყვანს და დამსახურებულ შვებულებაში გავემგზავრები-მეთქი“.

ერთ დროს კრაიჩეკთან ბალახზე შეხვედრაზე აგასი უფრო დაშინდებოდა, მაგრამ უიმბლდონამდე ტრავმებისაგან ალბათ, ისტორიაში ყველაზე მეტად დაჩაგრულ ჰოლანდიელს 20 თვის მანძილზე ერთადერთი მატჩი ეთამაშა. მუხლების რეგულარული ოპერაციების შემდეგ 2000 წლის სეზონის ბოლოს რიჩარდი იდაყვის ქრონიკულმა ტრავმამ გააწამა და ლამის უდროო პენსიონერადაც აქცია. სწორედ მაშინ, როდესაც ტურს დაბრუნებას აღარაფერი უკლდა, ტკივილები და სისხლისდენა ისევ შეახსენებდა-ხოლმე თავს და მკურნალობის დაუსრულებელი პროცესიც თავიდან იწყებდა.

„წინა თვეში მწვრთნელს [illegible], ასე გაგრძელება აღარ შემიძლია, კიდევ ერთხელ თუ [illegible] ოფიციალურად [illegible] სპორტს-მეთქი“. მერე ორიოდ კვირის წინ ტრავმა მოულოდნელად თითქმის გაქრა, ჰოლანდიელმა როზმალენში ერთი მატჩის თამაში შეძლო და ლონდონისკენ კორტზე ყოფნითაც კმაყოფილი გამოემართა.

მით უფრო განსაცვიფრებელია, რომ ჯერჯერობით წლევანდელი უიმბლდონის საუკეთესო მარათონულ ორთაბრძოლაში კრაიჩეკმა ფერადკანიანი ამერიკელის ჯეიმს ბლეიკის 6:3, 6:4, 3:6, 4:6, 11:9 დამარცხება მოახერხა. საუცხოო გათამაშებებით სავსე მატჩში ამერიკელმა არაერთი შესანიშნავი შემოკლებული აბრაგანი მიითვალა, მაგრამ კრაიჩეკის 30 ეისისა და ბადესთან ოსტატობის წინააღმდეგ მაინც უძლური აღმოჩნდა.

„რიჩარდის წინ ქუდი უნდა მოვიხადო. მსოფლიოში ერთი-ორი მოთამაშე თუ მეგულება, რომ ამდენხნიანი შესვენების შემდეგ სპორტში მობრუნდეს და პირდაპირ უმაღლეს დონეზე დაიწყოს თამაში, ეს მის მონდომებასა და ფანტასტიკურ ნებისყოფაზე მეტყველებს. მე ერთთვიანი არდადეგების მერე კორტზე რომ ვბრუნდები, ხელფეხი კოჟრებით მევსება და ყველაფერი მტკივა“ დიდი იმედი მაქვს, რომ ის აქ ბევრს გაამწარებს.

როდესაც „ოლ ინგლენდ კლაბში“ წარმატების შანსის შესახებ ვკითხე, ჰოლანდიელმა საფრთხილე არჩია: „ამაზე სამი დღის წინ ფიქრიც არ გამივლია თავში, იმდენად დარწმუნებული ვიყავი, რომ დიდი-დიდი აგასის ხელით ბოლოს მოღება მელოდა. ცოტა დაღლილი ვარ და ფეხები მტკივა, მაგრამ თუ პარასკევს რიგიანად ვითამაშებ და მაყურებლების თვალწინ თავი არ მომეჭრება, მეორე კვირაში უცნაური რამეები შეიძლება მოხდეს“.

იმედია, კრაიჩეკსაც ჩემი წინა გმირის — ხორვატი მარიო ანჩიჩის ბედი არ ეწევა, რომელმაც გუშინ ხეირიანად გაუბრძოლებლად ვინმე იან ვაჩეკთან 4:6, 4:6, 5:7 წააგო.



რიჩარდ კრაიჩეკი თითქმის სენსაციურად დაბრუნდა

#### ვაჟები

**მეორე წრე**

მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 3:6, 6:0, 7:6 (7:4), 7:6 (7:5); ანდრე სა (ბრაზილია) — შტეფან კუბეკი (31, ავსტრია) 3:6, 7:6 (7:3), 7:5, 6:3; ნიკოლა ესკუდე (16, საფრანგეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:2, 5:7, 7:5, 6:4; ტიმ ჰენმანი (4, ბრიტანეთი) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 3:6, 6:3, 6:4, 6:3; სხენგ შალკენი (18, ჰოლანდია) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 7:6 (7:2), 6:3, 4:6, 6:4; უეინ ფერეირა (ს. აფრიკა) — ივან ლუბიჩიჩი (30, ხორვატია) 6:4, 6:4, 3:6, 4:6, 6:3; ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) — გილერმო კანასი (10, არგენტინა) 4:6, 2:6, 7:6 (9:7), 7:5, 10:8; ადრიან ვოინეა (რუმინეთი) — ფაბრის სანტორო (25, საფრანგეთი) 6:2, 6:4, 3:6, 6:3; ჯეფ მორისონი (აშშ) — ხუან კარლოს ფერერო (9, ესპანეთი) 6:3, 7:5, 7:6 (7:5); ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — გრეგორი კარასო (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:5), 6:2; მიხაილ იუჟნი (რუსეთი) — გასტონ გაუდიო (24, არგენტინა) 6:0, 1:6, 7:6 (7:2), 5:7, 6:4; რაინერ შუტლერი (17, გერმანია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 6:0, 6:1; ჯულიან ნოული (ავსტრია) — იარკო ნიემინენი (32, ფინეთი) 6:3, 6:4, 6:3; იან ვაჩეკი (ჩეხეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:4, 6:4, 7:5

#### ქალები

**პირველი წრე**

ივა მაიოლი (32, ხორვატია) — ვერა ზვონარევა (რუსეთი) 7:6 (7:5), 6:2; მონიკა სელეში (4, აშშ) — როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:4, 6:0; ელენა დემენტიევა (12, რუსეთი) — ემილი ლოიტი (საფრანგეთი) 6:1, 7:5; ვინუს უილიამსი (1, აშშ) — ვირჯინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:3, 6:1; ლიზა რაიმონდი (16, აშშ) — ვინი პრაკუსია (ინდონეზია) 6:4, 2:6, 6:1; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — კიმ კლაისტერსი (5, ბელგია) 7:6 (7:5), 6:2; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — პატი შნიდერი (17, შვეიცარია) 6:1, 6:3; ჟუსტინ ენენი (6, ბელგია) — დენისა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:2, 7:5; მაგდალენა მალეევა (19, ბულგარეთი) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 6:4, 6:3; მირიამ კაზანოვა (შვეიცარია) — ბარბარა შეტი (29, ავსტრია) 6:3, 3:6, 6:3; სილვია ფარინა ელია (10, იტალია) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:3, 6:2

# ფეხბურთის ქალები





აღარც კი გვახსოვს, როდის გამოეთხოვა მსოფლიოს ჩემპიონატს ჩინეთის ნაკრები, მაგრამ, აბა, ჩინელებს ჰკითხეთ? შუა პეკინში გამოუდგამთ უშველებელი ფეხბურთის ბურთი და ყველა ჩინელი, რომელსაც ფეხბურთი უყვარს და გულით გაუხარდა თავისი ქვეყნის ნაკრების ისტორიაში პირველად გასვლა მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხელს აწერს ამ ბურთზე.

ამასობაში კი ფინალი მოახლოვებულა: რიოელ ბიცოლებს ისე უყვართ ფეხბურთი, რომ ჩვენებურ ბიცოლებს არც დაესიზმრებათ. სულ მთლად ეროვნულად მოსილი ეს დროული ქალბატონები შფოთავენ, ღელავენ და ხარობენ. თურქთა მძლეველი ბრაზილია კი ფინალშია. ისე, დიდი სევდა არც მოხდენილ თურქის გოგოს აისუნ კაიაჩოს ეტყობა. აისუნი თურქთა ნაკრების წევრ, ემრე ბელოზოღლუს მეგობარი გოგოა და მთელი ჩემპიონატი ტრიბუნებზე გაატარა.

გერმანელ ფეხბურთელთა ცოლებიც ქმრების გვერდით არიან. ვილმა და ოლივერ ნოივილები ხალისიანად ტოვებენ სეულის სასტუმროს, გეზი კი იოკოჰამასკენ უჭირავთ. კარსტენ და ნატაშა იანკერები ბერნდ შნაიდერის ცოლს, კარინას შეამხანაგებიან და რას გაიგებ, რის გამო ბჭობენ. სათვალყურებელი და საკვირველი მართლაც ბევრია ხოლმე უცხო მხარეში.







REUTERS ბრაზილიიდან



REUTERS რიო დე ჟანეიროდან



REUTERS რიო დე ჟანეიროდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@[illegible]
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge